ქ. ქუთაისის №37 საჯარო სკოლის
ლიტერატურული ჟურნალი

დათვითხი №2

ფიფქები



სარჩევი

პროზა ——————————————————————————3

თეონა გეგეჭკორი----------3
მარიამ ბასილაძე ----------5
ნინო გასვიანი ----------9
მადონა ჩაჩავა ----------10
ნინო ვაშაყმაძე ----------11
ანა რეხვიაშვილი ----------11
სალომე ტოფაძე ---------- 12
ნინო ნიკოლაძე ----------13
ანუკა ჭონიშვილი ----------16
ნანა მანაგაძე ----------18

პოეზია ——————————————————————————20

თინათინ კვინიკაძე ----------20
ნათია ბურჭულაძე ----------21
მარიამ აჭარაძე ----------23
ივერი თოდაძე ----------24
თეონა გაბუნია ----------25
თეონა გაბუნია ----------26
თამარ მელნიკოვა ----------26
ნოდარ ეგუტიძე ----------26
რეზო დემეტრაძე ----------27
მარიამ რუხაძე ----------27
სოფო ღვინჯილია ----------28

თარგმანები ——————————————————————29

ანა ჭონიშვილი ----------29
ანა რეხვიაშვილი ----------30
ნინო ხმელიძე ----------32
ნანა კლდიაშვილი ----------33

სკოლის ცხოვრება ——————————————————38

თეონა გეგეჭკორი, XI კლასი

მთვარე ჩადიოდა, მზე ამოდიოდა

თითქოს არ სურდა ნათელ მთვარეს თვალი მოეცილებინა მშვენიერი დედამიწისთვის. ვარსკვლავებიც სადღაც ქრებოდნენ, თანდანათ ბნელი ცა ნათდებოდა და მასზე ლამაზი, თეთრი და სხვადასხვა ფორმის ღრუბლები ჩნდებოდა, სადაცაა მზე ამოანათებდა და დროებით ჩაძინებულ არემარეს გამოაფხიზლებდა.

აი ამოვიდა მზე. თვალი გადაავლო მის წინ გადაშლილ დამატყვევებელ სილამაზეს. ალაპლაპდა ცვრით დანამული ბალახი, ნელმა ნიავმაც დაუბერა და ააშრიალა მშვენიერი მწვანე ფოთლები, მდინარემაც უფრო სწრაფად დაიწყო დენა. ბუნებამ გაიღვიძა, სიცოცხლე შეიგრძნო.

- გაიღვიძე, ჩემო მშვენიერო. ნახე, რა ლამაზი დილა გაგვითენდა ქართველობას! – თბილი, მოსიყვარულე ხმით გააღვიძა დედამ მზევარდა.

- გათენდა? – იკითხა მზევარდამ.

- ჰო, გათენდა და მერე როგორი დილა გაგვითენდა შვილო, თითქოს ბუნებაც მღერის ჩვენთან ერთად, თითქოს მასაც უხარია საქართველოს გაერთიანება. აფხაზეთიდან წამოსული ზეფიროსი ნაზად გვეალერსება.

მზევარდამ შავკულულებიანი თმები თავის უკან გადაქნევით გადაიყარა და ფანჯარაში გაიხედა.

- ადექი, შვილო, აივანზე გადი. მე კი მანამდე მოახლეებს ვუბრძანებ საუზმე ბაღში მოგვართვან.

- მამამ გაიღვიძა? – იკითხა მზევარდამ.

- დიდი ხანია ბაღში გველოდება.

მზევარდამ ხალათი მოისხა და აივანზე გავიდა: მშვიდობით, ახლა უნდა ავორთქლდე, ცაში ავალ და იქედან გიცქერ, ამ საღამოს კი ისევ დაგინამავ მაგ მშვენიერ მწვანე ფოთლებს. – ღმერთო, რა სილამაზეა! თითქოს ბუნება საუბრობს, თითქოს მღერის, ფიქრობდა მზევარდა და თან ღიღინებდა: შენთან მინდა მზეო, შენთან მინდა!'

- ეე, თამუნა, ადექი, რა ხანია გღვიძავს და ლოგინიდან ვერ დგები. შე, ზარმაცო, რა გაღიღინებს, სათოხნად მივდივართ, სცენაზე გასასვლელად კი არა. – შეუბღვირა უფროსმა დამ ლოგინში მეოცნებე თამუნას.

- ოჰ, ხომ მომკლა შენმა რომანტიზმმა. ჩვენი რომანტიზმი თოხი და ბარია, შეიგნე ეს!

- რატომ ვითომ, ოცნება ხომ ყველას შეუძლია, რა თქმა უნდა, შენი გამოკლებით. – შეეპასუხა თამუნა.

პ რ ო ზ ა

- აბა, წავედით! – გაისმა მამის ომახიანი ხმა.

...უჰ, რა სიცხეა, დავიწვი, დავიხრუკე, სადაცაა ზანგს დავემსგავსები ეს ქათქათა ქალი – ფიქრობდა თამუნია. თამუ, რა გჭირს, რას მოზარმაცობ, ცოტაც და მალე მოვრჩებით.



- მაცადე გოგო ფიქრი!

- ახლა არ მითხრა ისევ ვოცნებობთ, თორემ ამ თოხს ჩაგარტყამ თავში.

- არა, არ ვოცნებობ, მაგრამ მითხარით ერთი, როგორ მოგწონთ სახელი მზევარდა?

- მზევარდა არა, მზექალა, გააქნიე მაგ თოხი. – შეუბღვირა მამამ.

- ხო, რა იყო, ვიხუმრე.

სამხრობისას თამუნამ ისევ დაიწყო:

- მართლა მაინტერესებს სახელი მზევარდა მოგწონთ თუ არა?

- რა იყო, შენს შვილს ხომ არ გინდა დაარქვა, როცა გეყოლება, - ჰკითხა ბრაზმორეულმა მამამ.

- არა, უბრალოდ მინდოდა მე მრქმეოდა... – დანანებით თქვა თამუნამ.

- აი, ნამდვილი რომანტიკოსი! თამუ, სჯობს წერა დაიწყო და იქ შენი ნაწარმოების გმირებს გინდა თოხბარა შეარქვი და გინდა მზევარდა. – უთხრა დამ.

- ერთი გიჟი ხომ გვინდოდა სახლში, ჰოდა გვყავს კიდე. ააა, აგერაა! – და მამამ თოხი გაიშვირა თამუნასკენ.

- აბა, ადექით, დავიწყოთ მუშაობა! – გაისმა მკაცრი ხმა.

... და მუშაობდნენ და მუშაობდნენ...

* * * * *

ღამით, როცა დაღლილ-დაქანცულს საწოლში მაინც არ გეძინება, რისი ბრალია? რა თქმა უნდა ოცნების. ამ დროს თავი ანგელოზი გგონია. არაფერი გაბრკოლებს და ყველაფერი, ყველაფერი კარგადაა. ალბათ, ყველაზე კეთილი ადამიანი ოცნებაშია. აი, სწორედ მაშინ ემსგავსება პირველ ხატს უფლისას. ამიტომაც აქვს ასეთი მომაჯადოვებელი ძალა...

ღამე მქრქალდება, დნება, ქრება. უკვე მზესთან მივედით. მანაც გულში ჩამიხუტა და ოცნების ცისფერი ლენტი გამიწყვიტა, შავი ზღვიდან წამოსულმა ზეფიროსმა გამომაფხიზლა და მაგრძნობინა, რომ ნაოცნებარის ასრულების დრო მოვიდა. მთვარე ჩადიოდა, მზე ამოდიოდა...

მარიამ ბასილაძე, VII² კლასი

ბაგრატი უფრიფრიფლოება

ბაგრატი... "ქართვლის დედა" იმერეთისა. ნანგრევებიღა შემორჩენილა ტაძარი. მივუყვები ვიწრო ბილიკს და გონების თვალით ვეალერსები თითოეულ ლოდს, თითოეულ ჩუქურთმას. გულზე მოურჩენელ იარასავით მსერავს ეს დაჩეხილი და დაკორტნილი ლოდები. ნაკაწრები და ნაფხაჭნი წარწერებიც მომრავლებია. რა ხელმა ააგო ეს გოლიათი, რომელიც დრო-ჟამის მსვლელობას ბოლომდე ვერ შეუმუსრავს.

ფეხს შედგამ თუ არა ბაგრატის ეზოში, იმერული კოინდარი ფიანდაზად გაგეფინება ფეხქვეშ. ტაძრის ჩამონგრეულ კედელს თითქოს ცრემლი ჩამოსდის, გაყვითლებია ლოდები. იქვე, კედლის ძირში, პატარა ბავშვი ჩაცუცქულა და ენძელებსა და ყოჩივარდებს კრეფს. მზე გიშრის კულულებს უბრდღვიალებს. მეჩვენება აქეთ-იქიდან გმირთა აჩრდილები წამოიშალნენ და ხელგაშლილნი შესაგებებლად წარსული დიდების ამბებს უყვებიან, თვისტომსა და შთამომავალს.

* * * * *

ქვეყნად თურქ-ოსმალთა შემოსევას მოელოდნენ. ვისაც სად მოუწვდებოდა ხელი, იქ აფარებდა თავს. ზოგი მთებში, ზოგი ციხე-სიმაგრეებში. ბაგრატის მინდორზე აგიზგიზებულიყო კოცონები და გარშემო ხალხი შემოსხდომოდა. ფიქრობდნენ, ბჭობდნენ, გადამწყვეტი იერიშისთვის ემზადებოდნენ.

კარიბჭიდან ცეკვა-თამაშითა და სიმღერით ახალგაზრდების გუნდი გამოვიდა, ჟრიამული და მხიარულება შემოიტანეს უხუცესთა წრეში. ერთმა უწვერულმა ჭაბუკმა თვალჟუჟუნა ქალწული გაიწვია საცეკვაოდ. ისიც მოხდენილად გაჰყვა. ვიღაცამ ლახტობანა წამოიწყო. ბალღებმა დედების მკერდში ჩარგეს თავი და გაიტრუნენ. საღამოს ბინდი ჩამოწვა იმერეთის მინდვრებზე და ბაგრატის ტაძარზე.

წუთები "მიქროდნენ როგორც ნაბდით ნაჭედი ბედაურები". ხოლო ხვალინდელი დღე გადამწყვეტი იყო მათი ყოფნა-არყოფნისა, ქვემოდან, ქალაქიდან, კი სამჭედლოების გრუხუნი ისმოდა. უროს სცემდნენ ოფლში გაღვარული მჭედლები. აწრთობდნენ ლითონს, გორდებს, სატევრებსა და ფრანგულებს ჭედნენ. საიდუმლო ინიციალებითა და ჩუქურთმებით ამკობდნენ ნაოსტატარს.

პ რ ო ზ ა

კარგა გვარიანად ჩამობნელდა. მერე მთვარეც ამოცურდა და გაანათა იქაურობა. ტაძრის ჯვარი ვერცხლისფრად აკიაფდა ღამეში. ხალხი მაინც არ იშლებოდა. ცდილობდნენ ზეზეურად დახვედროდნენ ალიონს. ვიღაცამ სევდიანად ჩამოჰკრა ჩონგური, ვიღაცამ შოთას შაირი წამოიწყო. ტაძრიდან ჩუმი გალობა და ლოცვა მოისმოდა. ღმერთს ევედრებოდა ხალხი მამულის გადარჩენას. ქალებს მუხლები გადაყვლეფოდათ, საიდანაც ალისფერი სისხლი ჩქეფდა. უკვე მერამდენედ უვლიდნენ ტაძარს გარშემო ჩოქვით. სისხლის ცრემლებით ტიროდნენ ხატების წინ. მის სამკვიდრებელს ავედრებდნენ დედა-ღვთისას.

წუთები "მიქროდნენ, როგორც ნაბდით ნაჭედი ბედაურები..." "ხოლო ხვალინდელი დღე გადამწყვეტი იყო მათი ყოფნა-არყოფნისა".

ყველა თავის საფიქრალს მოეცვა. ვინ იცის, რამდენი ვაჟკაცის მზე ჩაქრებოდა ხვალ, რამდენი ლამაზი სიცოცხლე გაფრინდებოდა მართლაც ჩიტივით, რამდენი დედა თუ ცოლი შეიმოსებოდა ძაძით, მაგრამ ვაჟკაცს ომი რას შეაშინებს. ცეცხლს აფრქვევდნენ ორბის თვალთაგან ჯერაც უწვერული ფაჟკაცები და მათ გულებს კი სამშობლოს მიწასავით გაჰქონდა გუგუნი.

გიორგი სოფლის უხუცესთ-უხუცესი კი სულ სხვა დარდს და სატანჯველს მოეცვა — არსად ჩანდა მისი გაზრდილი — ბაგრატი, რომელიც ქალაქში გაეგზავნა. მას დავალებული ქონდა მხედართმთავრისათვის მიერთმია უსტარი, რომელშიც გიორგი პირდებოდა ქუდზე კაცის გამოყვანას. თენდებოდა... მხედართმთავრის პასუხი კი არსად ჩანდა, ამას დარდობდა გიორგი. ბოლოს გული იმით დაიმშვიდა, ალბათ საპასუხოდ არაფერი დაუბარებია მხედართმთავარს და ვინ იცის, იქნებ ბაგრატი ქალაქს დარჩაო. მოხუცი კოცონთან ჩამოჯდა და დამძიმებული ზურგი და ბებრული ძვლები სითბოს მიუფიცხა. არ უნდოდა ძილი, მაგრამ "ერთი პირი წყალსაც ჩაეთვლიმებაო" და მოხუცსაც რული მოეკიდა.

ბაგრატი იქნებოდა ოცი-ოცდახუთი წლის ახოვანი ვაჟკაცი. სულ პაწია იყო, ობოლი როცა გიორგიმ იშვილა. ბიჭი პატარაობიდანვე საოცრად გულჩახვეული იყო. თანატოლებს იშვიათად გაერეოდა. სახლში მოუცუცქდებოდა გიორგის და უსმენდა მის მონათხრობ ლეგენდებსა და მითებს. წერა-კითხვა შეისწავლა და, როცა დროს მოიხელთებდა, ავიდოდა სადმე ბექობზე და კითხულობდა "ვეფხისტყაოსანს" თავის თავს ტარიელს ადარებდა, სურდა წარმოსახული სატრფო გამოეხსნა. ეს სატრფო შემდეგში მისი სამშობლო თუ აღმოჩნდებოდა, ამას კი ძნელად წარმოიდგენდა პატარა რაინდი. შემდეგ ბაგრატზე ასვლა შეუყვარდა. ალბათ "სეხნიები" რომ იყვნენ, იმიტომ იქვე, ნაძვებში, ჩაჯდებოდა და ფიქრს მიეცემოდა. ჭკვიან, თაფლისფერ თვალებს ზეცას მიაპყრობდა. გადადგებოდა გორაკზე და გასცქეროდა ქუთაისს. ოდა სახლებიდან იისფერი კვამლის ბოლქვები ამოდიოდა. მეფის სასახლესაც მოავლებდა თვალს. უამრავი მტრედი ირეოდა სასახლის ქონგურებზე.

პ რ ო ზ ა

ერთხელაც ასე გადასცქეროდა ბაგრატი იმერეთს. მოუნდა უფრო მაღლა ასულიყო იქედან გადაეხედა ქუთაისისათვის, სამრეკლო შეამჩნია, კიბეს აუყვა უმალვე თავს მოექცა, მაგრამ ამჯერად მის თვალწინ გადაშლილი იმერეთის სანახავებით მოგვრილი აღტაცების ნაცვლად უცნაურმა სურვილმა გაიტაცა, სამრეკვლოზე სხვადასხვა სიდიდის ზარები ელოდა. ერთი მათგანი იმოდენა იყო, ბიჭი მის ქვეშ ჭიანჭველად ჩანდა. ზარის ენაზე ჩაბმულ ტოტს ხელი მოავლო ნელა შემოჰკრა, ზარმა, ყრუ ხმა გამოსცა. შემდეგ უფრი ძალუმად მოიქნია თოკი და დედა–ზარის ქუხილმა შემკრთალი ბიჭი კიბეზე დააგორა – რატომღაც საოცრად მოეწონა ეს ომახიანი ჭექა. სხვა ზარებსაც მოუნაცვლა ხელი და საამო კილო–კავებმა, ხომ სულ გააოცა ბიჭი. იმ დღიდან ხშირად ესტუმრებოდა სამრეკლოს და ქვეყნიერებას ომახიანი გუგუნით აყრუებდა. დღეები მიქროდნენ ,,როგორც ნალით ნაჭედი ბედაურები.....” და ბაგრატი იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა. თითქოს მთისოდენა იზრდებოდა ჭაბუკი. ზარებისადმი სიყვარულის გამო სოფელში ,,ზართა ბატონი” შეარქვეს და ამ სიყვარულმა დაღუპა კიდეც ჭაბუკი. ყურთასმენა დაეხშო. გული უკვდებოდათ ახლობლებსა თუ გარეშეთ მისი ცოდვით, მეტადრე გიორგის. იმ დღეს კი თუმცა გულით არ უნდოდა მისი გაგზავნა მხედართმთავართან, მაგრამ სხვა გზა არ იყო, სანდოსა და ახლობელს უკეთესს ვერ იპოვიდა, ბაგრატს მკლავის ღონეც კარგად უწყობდა ხელს.

ჭაბუკი უყოყმანოდ დაეთანხმა, აიღო უსტარი და ქალაქისკენ სავალ გზას დაეშურა. ქალაქში შესული გაოცებული ათვალიერებდა გარემოს, ზემოდან სულ სხვანაირი ჩანდა, სინამდვილეში კი სხვაგვარი ქალაქი წარმოუდგა თვალწინ. უამრავი დუქნის წინ ხალხი ირეოდა, სამჭედელოსთან ჩავლილს სახეში მხურვალე ცეცხლის ქარი ეცა. რიონიც უფრო სხვაგვარად ჩქეფდა, თითქოს სიგრძეში დამოკლებული სიგანეში გაზრდილიყო. ბედად, მხედარმთავარი იქვე, სამჭედელოსთან, იდგა. ბაგრატმა წიგნი გაუწოდა. მხედარმთავარმა გამოართვა, იცნო ბეჭედი, არაფერი უთქვამს, შევიდა იქვე ოთახში და პასუხი უმალ გამოატანა ჭაბუკს. ბაგრატი გამობრუნდა. კარგა მანძილი რომ გაიარა შეამჩნია უთვალთვალებდნენ. მოიხედა, ვიღაც წვერებიანი კაცი მოსდევდა უკან, ბაგრატმა ფეხს მოუჩქარა, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მიიხედა, მდევარი სადღაც გამქრალიყო გზა განაგრძო. აღმართის ბოლო რომ აათავა შეისვენა. იქვე ჩამოჯდა. ფიქრიანი თვალებით გადახედა ქალაქს. უცებ თავში რაღაც მძიმე საგნის დარტყმა იგრძნო წამოიწია, მაგრამ იქვე გონდაკარგული დაეცა.

თავლაში ხელფეხშეკრული ბაგრატი ეგდო. გარეთ კი წვიმდა კუნაპეტი ღრუბლები ფარავდა ზეცას თავლის სახურავიდან წვიმა ატანდა. დაიხედა სისხლის ლაქები შენიშნა ირგვლივ. უამრავი ნაჭრილობევი და ნაკაწრი აჩნდა სხეულზე, ვერ მიმხვდარიყო სად იმყოფებოდა. სულს უმწარებდა წაჭერილი თოკები, გაახსენდა, ჩოხის უბეში პატარა დანა ედო. ნიკაპით გადასწია საყელო და შიგნიდან გამოკერებული ჯიბიდან კბილებით ამოიღო ალესილი დანა. თითქოს აუსვა დაუსვა და გადასერა, ერთი გასაჭირიდან კი დაიხსნა თავი, მაგრამ დაბრუჟებული სხეული მიწიდან ვეღარ აითრია. ხოხვა–ხოხვით მივიდა კარებამდე და ძელს ჩააფრინდა. წამოიმართა, მუხლებმა ბარბაცი დაიწყეს. კარის ჭუჭრუტანიდან დაინახა, რომ ვიღაც ჩალმიანი მოდიოდა თავლისაკენ. კარებს უკან აეკრა და დანა მოიმარჯვა. მიხვდა მტრის ბანაკში მოხვერილიყო. ჩალმიანი თავლაში შემოვიდა, უცებ კისერში მძლავრი ხელები სალტად შემოეჭდო. ჭაბუკმა მიახრჩო იგი, მერე დანით შეუნგრია გულ–მკერდი, მკვდარი იქვე მიაგდო. მისთვის მთავარი იყო გაქცეულიყო იქიდან.

პ რ ო ზ ა

თავლიდან გაუბედავად გამოვიდა ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო და ისიც ბნელ, უმთვარო, ღამეში გაუჩინარდა. უცებ შორეულ მხარეს რაღაც ციალს მოკრა თვალი, ბნელში აშკარად გამოიკვეთა ბაგრატის ტაძარი. ჭაბუკი მიხვდა, საითაც უნდა წასულიყო. ბაგრატს გაახსენდა მხედარმთავრის წერილი მოისინჯა გულის ჯიბე, მაგრამ ვერაფერი იპოვა. მიხვდა, უსტარი მტრის ხელში იყო. ბედად წერილი წაკითხული ქონდა. მხედარმთავარი შეკრების ადგილს უნიშნავდა გიორგის, მაგრამ საიდუმლო გამხელილიყო ახლა საჭირო იყო შეხიზნულებთან სწრაფად მისვლა და გამოსავლის ძიება.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა ბაგრატი გიორგისთან მომხდარ ამბავზე საუბრობდა. მოხუცი შეაშფოთა ამ ამამბავმა და გადაწყვიტა დაუყონებლივ წვეოდა მხედარმთავარს. ცისკრის ვარსკვლავმა კრთომა დაიწყო. თითქოს მასზე ძლიერი სურდა გამოჩენილიყო, რომლის სილამაზეც სულ ცოტა ხანში დაჩრდილავდა მშვენიერ ხათუნებს.

მთებს შუა ახლად გაღვიძებულმა მზეთუნახავმა ამოაშუქა პირისახე. დალალები გადაიყარა და ქვეყნიერებას მანათობელი თვალებით გადმოხედა. ოქროსფრად გაბრწყინდა ტაძრის ჯვარი. ქალაქი წითელი ვარდების მორევში ჩაძირულიყო.

წუთები "მიქროდნენ, როგორც ნაბდით ნაჭედი ბედაურები"... და დამდგარიყო დღე იმერეთ ყოფნა-არყოფნისა.

მხედართმთავრებმა იცოდა მტერი უსათუოდ იმ ადგილზე მივიდოდა, რომელიც უსტარში იყო მითითებული. ეს წიგნი ხაფანგი აღმოჩნდა მტრისთვის. გიორგიმ დანაპირები რჩეული რაზმი აახლა მხედართმთავარს. ბრძოლა ქუთაისის სამხრეთ-აღმოსავლეთით ვრცელ ველზე უნდა მომხდარიყო. მტერს ბანაკი უკვე დაეცა. მხედართმთავარი ჯარის ნაწილს წაიყვანდა, ოსმალებს ზურგში მოქცეოდა. ნაწილი კი წინიდან დაჰკრავდა მტრის მეწინავეს. ბრძოლა შუადღით დაიწყო, როცა მზე არე-მარეს ბრწყინვალე სხივებში აელვარებდა. ალისფრად ავარდნილმა სისხლის შადრევანმა წითლად შეღება ხასხასა იმერული კოინდარი. იბრძოდნენ, თუნდაც ღირსეული სიკვდილისათვის. ფეხი ცურდა სისხლით აზელილ მიწაზე. მკლავი იქანცებოდა. მუხლი იკვეთებოდა. მაჯა დუნდებოდა. გული ძრწუნდებოდა. ომის ღმერთი კი თახთახებდა ცის კამარაზე, სისხლის წყურვილით გახელებული. ელვის სისწრაფით ბზრიალდებოდა ჩარხი ბედისწერისა. ერთბაშად დაქანავებულიყო ბრძოლის სასწორი იმერთა მხარეს. უგზოუკვლოდ გარბოდნენ თურქები. მისდევდნენ ქართველები და სჩეხდნენ გამძვინვარებით, ბევრი რიონში ცვიოდა.

გააფთრებით იბრძოდა ბაგრატი. ყველაზე სახიფათო ადგილებისკენ მიაქროლებდნენ ცხენს. ომის ზათქი და მის მიერ მოქნეული ხმლის ხმაური არ ესმოდა, თეთრ ტაიჭზე ამხედრებულს ქარი უწეწდა თმებს. შორიდან შეავლო თვალი მტრის ბელადს და თეთრონი მისკენ გააქანა. ოსმალმა შეამჩნია მოწინააღმდეგე, მაგრამ ბაგრატმა ხმლის ერთი დაკვრით აჰკუწა ბელადი. უცებ თავში ძლიერი დარტყმა იგრძნო, სისხლმა იჩქეფა თავიდან. რაღაც გამოუცნობი, მანამდე განუცდელი სისუსტე იგრძნო, სხეულში, სახსრები მოეშალა, რეტდასხმული თავი დამძიმებოდა. ბრძოლის ველი აიჭრა და ატორტმანდა, სადღაც შორ თვალმიუწვდომში თითქოს დედამიწაც დასხლტა და გაფრინდა ზეცად... ცხენმა გაიყვანა ბრძოლის ველიდან მხედარი. მიწამ დაითრია და ცხენიდან გადმოაგდო. მისჩერებოდა ბაგრატის ჯვარს და თანდათან ეკარგებოდა მხედველობიდან. შემდეგ კი მთლიანად ოქროსფერმა დაფარა არე-მარე:

პ რ ო ზ ა

“ბაგრატის ნანგრევებზე გმირების ჩურჩული
შორეულ ექოდ მოისმის ჩემამდის
გული შესტკივათ იბრძვიან, იღწვიან
მტერს არ უშვებენ, მისდევენ... სადამდის?
ლოდიდან წვეთები სჩქეფს გმირთა სისხლის
ზეციდან ისმის დიდების მესსა
ქართველო დადექ სადარაჯოზე
ნუ შეუდრკები უმხნევეს მტერსაც”.

* * * * *

და ჩვენმა ეპოქამაც, რთულმა და წინააღმდეგობრივმა ტრადიციული უმადურობით მოინელა დედამიწის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ისტორიულ მომენტში მოსული რაინდები.

ახალი არაფერია ცისქვეშეთში. ის რაც იყო, კვლავაც იქნება, მაგრამ ვაი, რომ სიკეთესა და ვაჟკაცობას განუშორებელ თანამგზავრად ახლავს მარადის შური და გაუტანლობა, მაგრამ ისიც გვასწავლა ისტორიამ, რომ სიკეთე საბოლოოდ არასოდეს მარცხდება. ამ რწმენით ჩაიწერა ეს ჩანახატიც.

ნინო გასვიანი, VII კლასი

ფ ო თ ო ლ ი

ძალიან მომწონს ფოთოლი; ის ხომ ძალზედ ლამაზია, ალბათ, დამეთანხმებით. შამაგიეროდ, არ მომწონს შემოდგომა, რადგან ხეებს ფოთლებს აცლის. საშწუხაროა ეს ამბავი, მაგრამ ასე დააარსა ღმერთმა და ვერ შევცვლით ამ წესს. უფრო საშწუხარო ის მგონია, რომ უძლურნი ვართ და ჩამოყრილ ფოთლებს ვეღარას ვშველით.

ხშირად, როცა სიმღერის ხასიათზე ვარ, ფოთოლს ვუმღერი; ეს, შეიძლება, სასაცილოც ჩანდეს, მაგრამ მე მსიამოვნებს.

ვუმღერი ფოთოლს და სულ ეს არის. თუმცა მხოლოდ ფოთოლს კი არ ვუმღერი, მთელი ბუნება ჩემი მსმენელია. მით უფრო, როცა ტყეში ვარ. მე ამ სიმღერით სულიერ სიმშვიდეს ვპოულობ. ეს კი ღვთის წყალობაა, თითქოს იმის სამაგიერო, ჩამოცვენილი ფოთლები რომ ძალიან მასევდიანებს.

მადონა ჩაჩავა, XI კლასი

მზის სხივი

გიორგი ქუჩაში მარტო მიდიოდა. წვიმდა. ჯიბეში ერთი კაპიკიც არ ედო. გიორგის ფული ძალიან სჭირდებოდა. მას გონება არეული ჰქონდა, თავს ვერ აკონტროლებდა. მისი დაწყნარება მხოლოდ ერთ რაღაცას შეეძლო, სწორედ იმისთვის სჭირდებოდა ფული. გიორგი ფიქრობდა, ფიქრობდა, წვიმა ფიქრში ხელს უშლიდა. როგორც იქნა თავში ერთი აზრი მოუვიდა. სახლში გაიქცა, იცოდა დედა ფულს სადაც ინახავდა, აიღო. მერე ლუკას დაურეკა, დათქმულ ადგილას შეხვდა. ლუკამ ის მოუტანა, რასაც გიორგის დაწყნარება შეეძლო. გიორგიმ გამოართვა, ჩაცუცქდა, ქაღალდი გახსნა, მუხლზე დაიდო, მერე ცხვირის ერთ ნესტოზე ხელი მოიჭირა, მეორეთი ფხვნილი შეისუნთქა. თავი უკან გადასწია, მერე ისევ შეისუნთქა, ლუკამ უყვირა, ზედმეტი არ მოგივიდესო, გიორგიმ ხელი აუქნია. ისევ შეისუნთქა, თითქოს რაღაც ძალა უბიძგებდა ამისკენ. Gგიორგის მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა, გაწითლდა, გიჟივით სიცილი დაიწყო, მერე მინდორზე გაწვა და ცას შეხედა. ცაზე ღრუბლები მიმოფანტულიყო. აღარ წვიმდა. ერთი მზის სხივი ღრუბლებიდან გამოსვლას ცდილობდა, როგორც იქნა თავი გამოყო, თითქოს გიორგის შეხედაო. “ღმერთო რა ლამაზია!” — გაიფიქრა გიორგიმ და თვალები დახუჭა. როცა გაახილა, უკვე საავდმყოფოში იყო. სასთუმალთან დედას ეძინა, რომელსაც მზის სხივი ანათებდა. გიორგის ყველაფერი გაახსენდა, დედას თავზე ხელი გადაუსვა და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგოდა.

ნინო ვაშაყმაძე, VII კლასი

ქ ა რ ი

ქარი ადამიანს როგორც წყალი და ჰაერი, ისე სჭირდება. ჩემი აზრით, იგი რომ არ არსებობდეს, ადამიანები მოიწყენდნენ. მე ეს ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. მაშინ, როდესაც მოწყენილი ვარ თუ რაიმეს ვდარდობ, ან გულზე ნაღველი მაწევს, გავდივარ ხოლმე გარეთ, ვუსმენ ქარის ხმას. ის მე საოცრად მამშვიდებს, წამალივით მიხდება და უსიამოვნო ფიქრებისგან მათავისუფლებს... ღამით თითქოს მღერის, თითქოს გვაძინებს.

ზოგ შემთხვევაში ქარი სასტიკიც არის. ასე ფიქრობენ ფოთლები. ღოდესაც ქარი დაუბერავს, მოწყვეტს ფოთლებს, გააშიშვლებს ხეებს. ჩემი აზრით, ქარსაც თავისი მოვალეობა აქვს, ისევე როგორც თითოეულ ადამიანს. მაგრამ, ალბათ, ფოთლები ფიქრობენ, ქარი რომ არ იყოს, არ შეიძლება? მე ამ კითხვას პასუხს ასე გავცემდი. ქარი რომ არ იყოს, არ შეიძლება!

ანა რეხვიაშვილი, VIII² კლასი

თაობა მიდის... თაობა მოდის...

თაობათა შორის ურთიერთობა ყოველთვის პრობლემებით სავსეა. ხშირად არცერთი არ თმობს — არც დიდი, არც პატარა. ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ არაა ლამაზი, როცა უმცროსი უფროსს უპატივცემულოდ ექცევა ან შეურასხყოფას აყენებს.

უფლის მოცემულ ათ მცნებაში წერია, რომ დედისადმი და მამისადმი პატივისცემა ჩვენვე წაგვადგება, კეთილიც გვექმნება და სიცოცხლის ჟამიც გაგვიხანგრძლივდება. Bევრია შემთხვევა, რომ მშობლებს შვილები სახელებით მივმართავთ. ჩემი აზრით, ეს ძალიან დიდი ცოდვაა, რადგან დედას შვილის გაჩენის ბედნიერება იმიტომ მიანიჭა ღმერთმა, რომ ქალს უხარია, როცა შვილი უძახის: "დედა!" მართლაც, დიდი ბედნიერებაა იყო შვილი, დიდი ბედნიერებაა იყო დედა.

ადრე შვილები მშობლებს მამაბატონოთი და დედაბატონოთი მიმართავდნენ. ეს ძალიან კარგი იყო.

Kარგი ოჯახიშვილი სულ უნდა ცდილობდეს, რომ უფროსებზე კარგი გახდეს. Aმას ადასტურებს ეს ხალხური გამოთქმა: "ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა".

... რატომ უნდა ვუხეშობდეთ შვილები? ახლახან წავიკითხე ერთ-ერთი შუმერული ფირფიტა, რომელიც გვეუბნება: "უცნაური რამეები ხდება, ბავშვები უხეშობენ, მშობლებს აღარაფერს უჯერებენ, ალბათ სამყაროს აღსასრული დადგა". იმედია, ამას გამოვასწორებთ და სამყაროს აღსასრულის ვადები გადაიწევა.

სალომე ტოფაძე, X⁴ კლასი

ჩემი თვალით ფანჯრიდან დანახული სამყარო

მზის სხივებმა ჩემს ოთახში შემოანათა. რაღაცა უცნაურმა ძალამ ფანჯარასთან მიმიყვანა. საოცარი ბუნება გადამეშალა თვალწინ. მზე სასიამოვნოდ ანათაბდა არე-მარეს. ლაჟვარდოვან ცაზე ღრუბლები აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა. ჩიტები საამურად ჟღურტულებდნენ. ტკბებოდნენ ბუნების სიმშვენიერით. საოცარი რამაა სამყარო. ჩემი ყურადღება ერთმა მტრედმა მიიპყრო. მოლურჯო-მოცისფრო თეთრი ქათქათა გული ჰქონდა. ჩემში თეთრი ფერი სიწმინდესთან ასოცირდება. მტრედი, თანაც თეთრი, მშვიდობის, ზავისა და შეთანხმებული ცხოვრების სიმბოლოა. ბედნიერია მტრედი, რადგან თავისუფალია. არხეინად ჩამოჯდა აივნის მოაჯირზე. სულ არ ადარდებდა ადამიანთა ბედი. უეცრად ფრთები შეატყლაშუნა და ჰაერში აიჭრა, ნაკადი გააპო და ბუნების მადლს დაეწაფა. რატომღაც მგონია, რომ რაც უფრო ვუახლოვდები ცას, უფრო სუფთა ჰაერია და სულიც უფრო მეტად იწმინდება. გასაკვირია, როგორი სიზუსტით არის შექმნილი სამყარო. ბუნებას თავისი წესები აქვს. ფრინველიც ამ წესებით ცხოვრობს. ჩვენ კი, ადამიანები ვეწინააღმდეგებით ბუნების კანონებს და ვანადგურებთ მას. ფრინეველი კი თავად არის ბუნების უმშვენიერესი ნაწილი. Gგანა ტყეს წარმოვიდგენთ ჩიტების გარეშე? განა შეიძლება აისი ჩიტების ჭიკჭიკის გარეშე? Gსაოცრად მომინდა მტრედად ყოფნა. მასავით ავიჭრებოდი, ვინავარდებდი ჰაერში. გადავუფრენდი მწვანედ აბიბინებულ ტყეებს, ყვავილებით მოფენილ მდელოებს, მორაკრაკე ნაკადულებს და დავტკბებოდი ღვთით ბოძებული ულამაზესი ბუნებით. ამ ფიქრებიდან ძაღლის ყეფამ გამომიყვანა, რომელიც მასთან ახლოს მყოფ მტრედს აედევნა. უნდოდა დაეჭირა და კბილი ჩაევლო, მაგრამ მტრედმა იგრძნო საფრთხე, ააფრთხიალა ფრთები, ოჰ, რა ძვირფასია თავისუფლება!

2008 წლის აპრილში სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობამ ჩაატარა კონფერენცია-კონკურსი თემაზე:

„შორს ტაო მოჩანს“

წარმოგიდგენთ აღნიშნული კონფერენციის რამოდენიმე თემას.

ნინო ნიკოლაძე, VIII კლასი

ტაოსკენ მიმავალი მეომრის ფიქრები

მთვარიანი ღამეა, ცა მოჭედილა უამრავი ვარსკვლავით. ირგვლივ წყვდიადია. თამის სიჩუმეს თრითინას თრითინი არღვევს. ღმერთო რა საოცარი გრძნობაა. ღამის სიჩუმე მართლაც კარგია, იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ ჩაფიქრდე საკუთარ თავში, კიდევ ერთხელ გაიხსენო წარსული შენი.

ახლ აუკვე კარგად ვაანალიზებ ყველაფერს. ისევ ომი, სისსხლი, კაცთაკვლა და სისასტიკე. ჩვენი მთავარი ლოზუნგი, ოღონდ ღმერთმა იცის, მოდის თუ არა ეს სიტყვები გულიდან - „არავითარი შებრალება, ლახვარი გულში ან ზურგში“ - ეს სიტყვები ისე მძლავრად გვაქვს გააზრებული, რომ ვერ კი ვხვდებით რომ ყოველი ხმლის ამოღებაზე ვკარგავთ სულიერ ფასეულობებს, ვბოროტდებიტ და გულის კუთხეში ვმალავთ ჩვენს კეთილ გრძნობებს და ღირებულებებს.

ახლაც ეს მეორდება, ბრძოლა. მივდივართ, ვხვდებით და ვაცნობიერებთ, რომ შეიძლება ვეღარ ვნახოთ მზის სხივი, მისი სინათლე. შეიძლება ეს ჩვენი უკანასკნელი ბრძოლა იყოს. ვფიქრობ და ვცდილობ არ გავაღვიძო შიში - შიში განა სიკვდილისა? არამედ საკუთარი თავისა, რადგან მეომარმა თუ თავის რწმენა დაკარგე, უკვე ძნელია იყო გულადი, რადგან დიაცის ფიცი შეგპარვია და რაც უფრო აანალიზებ ამ ყველაფერს „ხვდები, რომ ეს გრძნობა შენზე ძლიერია“. კეთილი საქმის კეთება ცხოვრებაში სულ არ არის ძნელი - მაგრამ ზოგჯერ ის გვეძნელება, რაც პირიქით, ძალიან ადვილია, მაგრამ ზოგჯერ მართლაც ძნელია სირთულის გადალახვა, მისთვის თვალის გასწორება, მაგრამ მათი გადალახვის გარეშე შვება და სიხარული არ მოვა.

არადა როგორ გვაკლია შვება და სიხარული - ნამდვილი შვება, ნამდვილი სიხარული. სიხარულით კი ყოველთვის ერთი გვიხარია „ ღმერთო გადავრჩი“ ერთი შეხედვით მტკიცენი ,გულადნი, მამაცნი, მაგრამ შიში სასოწარკვეთისა ყოველთვის თან გვდევს ყველაზე უძლიერეს მხედარმთავარს ან მეომარს.

პროზა

ამ ყველაფრის შემდეგ უკვე ცდილობ საკუთარი ქვეცნობიერების დანახვას. ვინ ვარ მე? ჯერ არ ვიცი, მე მე ვარ თუ არავინ. სიყვარული - მოყვარული ან საყვარელი, არა - გაოგნების თასით ვარ მთვრალი. მაგრამ მე მე არ ვარ, მაშ ვინ ვარ მე? უსახელო რაღაც ქმნილება? „მე“ სულ სხვა არის, ნიღაბი შენი თავისა, რეალობისა, რომელსაც მთელი ცხოვრება გაურბი - მწარე სიმართლისა, რომლის მოკვლის იარაღი არ არსებობს და ბოლოს ხვდები, რომ შენ შენ ხარ. პიროვნება, რომელიც გაორებულია. კეთილსობილური და სასტიკი. მაგრამ ჩვენი ყოფის გამო სისასტიკეს მძლავრად დაუდევს ჩვენთან ბინა.

ყველაზე სასტიკი ომის დროსაც კი თვალწინ გვიდგას ჩვენი სამშობლოს წარსული, ისტორია, ჩვენი წინაპრების თავდადება და გვახსენდება „ვისი გორისა ვართ“. ხოლო თუ ისტორია, წარსული გვავიწყდება, აქ უკვე ზედმეტია საუბარი სულის სიმტკიცეზე. ჭეშმარის ადამიანსაც უპირველეს ყოვლისა ღმერთი უნდა უყვარდეს და შემდეგ სამშობლო. უფლისა და სამშობლოს

სიყვარული წარსულის ცოდნას ბადებს. ანუ ჯერ წარსული უნდა გიყვარდეს და მერე აწმყო და მომავალსაც თავადვე ქმნი. ყველა მომავალი ოდესღაც აწმყო ყოფილა, შემდეგ წარსულად ქცეულა და ეს წარსული ჩვენი მომავალია. და მაინც ვერ წარმომიდგენია არსებობა წარსულისა და სამშობლოს გარეშე. მისი სიყვარულის გარეშე სიყვარულისა, როცა მზად ხარ უყოყმანოდ ანაცვალო მამულს თავი. ვფიქრობ და ამაზე ფიქრს შორს, უსასრულოდ შორს მივყავარ - პასუხს კი დროდადრო ვიჭერ. დრო კი ძალიან ცოტაა. ცოტაა ჩვენი ცხოვრებაც, რადგან ჩვენი სიცოცხლე შემოდგომის გაცრეცილ ფოთოლს ჰგავს, რომელიც ცებ წყდება, ძირს ეცემა და ხმება. ადამიანის ცხოვრება წრეა, რის მოხაზვასაც მთელ ცხოვრებას ანდომებს ადამიანი. ვიხსენებ ელენე მაღრაძის სიტვებს: „სამშობლოს არჩევის უფლება ჯერ ძე ხორციელსა არა ჰქონია, ქართული სიტყვა, ქართული ენა, ქართული ზნე, ქართული ადათი, ქართული ჰანგი და სულისკვეთება. მე ჩემებურად შევისისხლხორცე და ჩემებურად წარმოვთქვი პირველი ქართული სიტყვა. შეიძლება ყველაფერი გამოიცვალო კაცმა, მაგრამ სამშობლოსა და ქვეყნის გამოსვლა შენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ომში წინ მიგვიძღვოდა ჯვარი ნინო განმანათლებელისა, ხმალი დავით აღმაშენებელისა და ენა შოთა რუსთაველისა. ყოველი ადამიანი ვალდებულია იცნობდეს თავის საუკუნეს, იცოდეს მისი სულიერი ავლა-დიდება და უყვარდეს ვინმე ან რამე, ჰქონდეს წმიდათაწმიდა. საფიცარი ქვეყნის სიყვარულის დასაცავად მარტო ხმალი უმნიშვნელო ისრის ღერძია, საჭიროა სულის ისმაღლე, შემოქმედი სულისკვეთება და უმაღლესი სათნოება. გარდა ამისა, ყოველ შემეცნებულ ადამიანს აქვს თავისი ხვედრი. უხვედრო ადამიანი უბედურია. არც მონური

პროზა

სიცოცხლეა ძნელი, არც გმირული თავგანწირვა. ძნელია სათნო, ყოვლის შემცველი სიყვარული და ერის მომავლის შენება... კიდევ მართალკაცობა, თორემ ახლა სიმართლე ისე ვერ გაურბის გაიძვერობასა და ტყუილს, როგორც მიცვალებული თავის ქვაყუთს. ეს სიტყვები ყურში ჩამესმის და მაგრძნობინებს ნამდვილ მეომრობას.

თვალებს ვხუჭავ და ვიხსენებ ჩემს სახლ-კარს, მენატრება ჩემი ახლობლები და თვალაცრემლებული, ხელებდაკოჟრილი დედა, რომლის ერთადერთი საჯავრელი და სალოცავი მე ვარ. მენატრება ყველაფერი. მიწა, მისი სურნელება, მშობლიური ჰანგების გაგონება, მშობლიური ნანა. დედის სიმღერა, რომელიც ახლაც ყურში ჩამესმის... და უამრავი რამ, რაც ასე შორსაა ჩემგან, რაც ასე მაკლია და ხატებად გადამქცევია.

უკვე რა ხანია აქ ვართ და რასაც ჩვენ ჩავდივართ სისასტიკეა და სხვა არაფერი. ამის გაფიქრება არ გვინდა, რადგან ყოველი ხმლის აქნევაზე გვახსენდება ჩვენი სამშობლოს მწარე წარსული. სამშობლო, რომელიც ნელ-ნელა იშუშებს თავის იარებს და თვალცრემლიანი გველოდება ჩვენ, თავის შვილებს და ვხვდები რომ შიშის დრო არ არის, რადგან მოვალე ვარ ერისა და ქვეყნის წინაშე.

შეიძლება ზოგჯერ ჰგონიათ, რომ ჩვენ არაფერი შეგვიძლია გარდა ომისა და კაცთაკვლისა, მაგრამ ეს უპირველესი მოთხოვნაა და ვიბრძვით. ვინ იცის რას ვგრძნობთ ომის შემდეგ, ვინ იცის როგორ გვტკივა გული და როგორ სინდისის ქენჯნას განვიცდით, რომელსაც ვერაფერი მიქარწყლებს დედამიწის ზურგზე. დავყურებ ხელებს, რომლებმაც მრავალთ მოუსწრაფა სიცოცხლე. ო, როგორ მტკენს ეს სიმართლე გულს. ერთი შეხედვით ჩვენი ყოფა ბნელით მოცული ბურანია, სადაც მზის სხივები არ აღწევს. ადგილი, რომელიც ყინვითა და სუსხითაა სავსე. ცაში შავი ღრუბლები, მიწაზე - გვამები, ჰაერში - სისხლის სუნი. თვალებს ვახელ და ვხვდები, რომ მე ვცდილობ გავექცე ამ საშინელ რეალობას. ვინ იცის რამდენის სუნთქვა უნდა შეჩერდეს, რომ ეს ერთი ამოსუნთქვით სათქმელი სიტყვა „გამარჯვება“ ამოხმიანდეს.

ყველაზე ლამაზ და საოცარ სიზმარშიც ამ სიწმინდეს ვხედავ. ლურჯი ცა, სრული სიმშვიდე და ეკლესიის ჯვარაწვდილი გუმბათი, საოცარი მონატრება და უსაშველო გულისტკივილი, ანგელოზთა გალობა და უფლისაგან მორთმეული წყალობა და მშვიდობა.

მე მჯერა, რომ ჩემი სამშობლო ფენიქსივით ისევ აღსდგება და ისევ დაიბრუნებს თავის ძლიერებას. 1921 წელს დავკარგეთ ძირძველი ქართული კუთხე - ტაო. მიწა, რომელიც წმიდა ქართველთა სისხლითაა გაჟღენთილი. იმედს არ ვკარგავ და მტკიცედ მჯერა. რომ საქართველო კვლავ იქნება ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არაგეწამდე - რადგან საქართველო ჩვენი აქართველი ხალხის. ეს ერთადერთი საუნჯეა, რასაც თვალისჩინივით უნდა მოვუფრთხილდეთ.

ღმერთი იყოს ჩემი ერისა და ქვეყნის მფარველი!

ანუკა ჭონიშვილი, VIII კლასი

ჩემია და ვერავინ ვერ წამართმევს...

... ფანჯარასთან ჩამოჯდა და მძღოლის მოსვლას დაუწყო ლოდინი. მალე ისიც მოვიდა და ავტობუსი დაიძრა... ოცნებაში დაინახა მწვანეში ჩაფლული ტაო-კლარჯეთი. წელს პირველად მიდის და უხარია. ძალიან უნდა ნახოს ადგილი, რომელზეც ბაბუა ხშირად ესაუბრებოდა. ბუნებას მოხიბლული უცქერის. „ნუთუ შესაძლებელია ასეთი სილამაზე არსებობდეს...“ გრძელი გზა იყო საქართველოდან საქართველოსკენ. სამწუხაროა, რომ ტურისტებს მხოლოდ დიდი ქალაქები იზიდავს, თუმცა ისინი ხომ ჩვეულებრივმა მოკვდავებმა, ადამიანებმა შექმნეს. ეს მთები კი ღმერთმა შექმნა და ჩვენ გვაჩუქა. შეუძლებელია ისინი ერთმანეთს შევადაროთ.

თვალები დახუჭა და ჩათვლიმა, რამოდენიმე წუთში საშინელმა კოშმარმა გააღვიძა. თითქოს ამ სამოთხეს „ვიღაც“ ართმევდა. აი, საზღვარიც. საშინელი ფიქრები შემოეჯარა. ნეტავ რა იყო? რატომ დაესიზმრა ასეთი საშინელება? მძღოლიც მოვიდა, საზღვარი გადაიარეს და... უცებ რაღაც ჩაესმა. აი, კიდევ კარგად დააკვირდა და გარკვევით გაიგონა: „შენი აღარაა, აღარა“ და ამას სიცილიც მოჰყვა. ტანში შეაჟრჟოლა… ნუთუ მართალს ამბობს ეს ხმა?

- არა, ტყუილია!

„- როგორ არა შენი აღარაა, ნუთუ ვერ გაიგე?“ - პასუხმაც არ დააყოვნა

როგორ უნდა ახლა ამ ხმას გაექცეს, სადმე დაიმალოს, ოღონდ აღარ ესმოდეს. გულს ტკენს ეს იდუმალი ხმა. სწორედ ამ დროს ავტობუსში გოგონას წკრიალა ხმა გაისმა: „იქით გაიხედეთ!“

თვალი გააპარა... სილამაზემ დაამუნჯა. აღარ იცოდა რა ექნა. გული წყდებოდა, რომ მისი სამყარო დაინახა სხვა ქვეყნის საზღვრებში. ტირილი მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა.

„- შენი ცრემლები გულს ვერ მოულბობს ვერავის, თვალი გაუსწორე რეალობას! შენი აღარაა!“ - და ისევ სიცილი, რომელიც აღარ წყდება.

„- რა უნდა ჩემგან? თავი დამანებოს ამ უჩინმაჩინმა“. - მთელი გზა გატანჯა ამ კითხვამ და უცნობის პასუხებმა. როგორც იქნა ავტობუსი გაჩერდა. ტაო-კლარჯეთში ჩავიდნენ...

პროზა



უჩვეულო დღე იყო... მარტო მიუყვებოდა ხანძთისაკენ მიმავალ გზას. ამ გრძელ გზაზე ის ხმაც მიაცილებდა და არ ასვენებდა. მოშორებით პატარა გოგონას მოკრა თვალი. ახლოს მივიდა, გაუღიმა, მან კი დაიმორცხვა და სახლში გაიქცა. „აი, ესენი არიან ნამდვილი ქართველები“ - გაუელვა გულში. მერე მაღალ გორაკზე ავიდა, საიდანაც ხელის გულივით ჩანდა „პატარა საქართველო“, გაუღიმა ამ სილამაზეს. სასიამოვნო ნიავმა დაუბერა და თმები აუწეწა. როგორ არ უნდა ამ ადგილს მოშორდეს, მაგრამ ზემოთ ხომ უფრო დიდი სილამაზე ელის... ცას ახედა... აქ სხვანაირი ეჩვენა. თითქოს ყველაფერი გამოუცვლიათო: მზეც, ცაც, მთებიც... გეგონება ამ ყველაფერს მოუნდომებია დიდ საქართველოს გაეჯიბროს სილამაზეში. „შენ ახლა სხვა ქვეყანაში ხარ და არა საქართველოში. ეს მიწა, რომელზეც შენ დგახარ ა ღ ა რ გ ე კ უ თ ვ ნ ი ს!“ თვალზე ცრემლი ჩამოუგორდა. დაათვალიერებს ამ ყველაფერს და უკან დაბრუნდება. ნეტავ რატომ? არ უნდა დაბრუნება! არ უნდა სხვას დაუტოვოს ეს სილამაზე. რატომ უნდა წაგვართვან ის, რის გამოც ამდენი ვიბრძოლეთ, რასაც უამრავი სიცოცხლე შევწირეთ. ადგილს ძლივს მოწყდა და სვლა გააგრძელა. როგორ უნდა ახლა ქართული სიტყვის გაგონება. თუნდაც გაბზარული... ისეთი, როგორითაც აქ საუბრობენ...

შორს სახლები გამოჩნდა. ძველი, ნამდვილი ქართული ოდა-სახლები. გული იმედით აევსო... და ისევ ის ხმა:

„- გგონია, რადგანაც სახლები არ დაუნგრევიათ, ისევ შენია? არა, შენი არაა!“

წამით გაიფიქრა, რომ ეს ხმა არასოდეს დაანებებდა თავს. ალბათ ყველას ასე ემართება, ყველა ქართველს ვინც აქ მოდის! შორს ხანძთა დაინახა, მწვანეში ჩაფლული ხანძთა. უკვე სირბილი დაიწყო. ჰგონია, თუ მალე არ მიუსწრებს წაართმევენ. მგონი მივიდა.

„- შენი აღარაა“ - იმეორებს ხმა.

ახლა მას უკვე აღარ უსმენს, ტაძრის შემხედვარეს სუნთქვა ეკვრის.

ფრთხილად შეაბიჯა ტაძარში, კედლებსაც ფრთხილად შეახო ხელი... იქვე პატარა ნიშთან ჩაიმუხლა, თავი ხელებში ჩარგო და ხმამაღლა აქვითინდა...

სულ ცოტა ხნის შემდეგ გარეთ მყოფთ განწირული ხმა მოესმათ: „ჩემია, გესმის ჩემი! და ვერავინ ვერ წამართმევს!...“

ნანა მანაგაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

„არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“

“ეს რა ეშმაკმა ააბორგა ამაღამ ქარი,
ამიწიოკა, დამირბია მან შთაგონება!
თბილისის ქუჩებს დავედევნე, ვიხმე ამქარი
დავიწყებული ფიროსმანის მოსაგონებლად.
აქ, ამ ქუჩებში, დადიოდა როგორც სიზმარი,
(საქართველოს ცას აქ ეტრფოდა მისი ოცნება)
ჩამოხეული, ტანმაღალი, მარად ხიზანი.
მარტოდენ გული და ბაჯაღლო პატიოსნება”
/ლადო ასათიანი/

ნიკო ფიროსმანიშვილი საქართველოს ერთ-ერთი იმ ღირსეული შვილთაგანია, რომელიც შემოქმედებით წვაში ისე დაიფერფლა და გადნა ხალხის გულში, რომ მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ლეგენდებისა თუ ვერსიების მეტი აღარაფერი შემოგვრჩა. ყველაფერი, რაც ეხება ნიკო ფიროსმანის მიწიერ ცხოვრება, მოცულია ისეთი საიდუმლო ბურუსით, რომ შეუძლებელია აღდგენილი იქნას მისი ბიოგრაფია, თუ კი ჰქონდა მას საზოგადოდ.

მაშ, რამ გადამაწყვეტინა მომეჩხრიკა მისი უბე-კალთა?! დიდმა სიყვარულმა, იმ სიყვარულმა, რომელიც ბევრს აბედვინებს ადამიანს...

ნიკოს საყვარელი ბაღი მუშტაიდი იყო. ბაღში ყოველ საღამოს ხუთი საათიდან გვიან ღამემდე გაცხარებული დროსტარება იყო, უკრავდა მუსიკა, ისმოდა ქალაქური სიმღერები...

ნიკო ბაღში ყოველთვის მარტო მიდიოდა, ესტრადის ახლოს თავისუფალ მაგიდასთან ჩამოჯდებოდა და მადიანად შეექცეოდა გუდის ყველს, მწვანილს, მწვადს, ღვინოს...

ერთხელ, ჩვეულებრივ, ნიკო მუშტეიდს ესტუმრა. ესტრადაზე მომხიბვლელი ფრანგი ქალი, მარგარიტა მღეროდა. ერთხანს გულგრილად უყურებდა მომღერალს, მერე მზერა დაძაბა იმდენად მომხიბვლელი და ჰაეროვანი ჩანდა, თვალი ვერ მოსწყვიტა. მომღერალს დეკოლტიანი თეთრი კაბა ეცვა, წელზე მუხლებამდე დაშვებული ვარდისფერი ქამარი ერტყა, ხელზე სამაჯური ეკეთა, ყვითელკანტებიანი ფეხსაცმელები და ზოლებიანი წინდები ეცვა. ოქროსფერი თმა ნიავის ყოველ ამოსუნთქვაზე სახეს უფარავდა და მიჯნურივით ეალერსებოდა. ნიკოს ერთი ნახვით ისე შეუყვარდა ქალი, რომ იგი მისი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილად იქცა.

მარგარიტამ სიმღერა დაამთავრა, მსუბუქად ჩამოვიდა სცენიდან და მოქეიფეების რიგს ჩაუყვა. ქალს ყველა მაგიდასთან იწვევდნენ, ის კი თავის

დახრით მადლობას უხდიდა აბეზარ თაყვანისმცემლებს და გზას აგრძელებდა. ნიკოს მაგიდასთან შეჩერდა, შეიძლება თქვენთან დავჯდეო - უთხრა და თვალებში შეაცქერდა. ნიკო გაოგნებული იყო, ნუთუ მის გვერდით სათაყვანებელი კერპი იჯდა.

ეს იყო და ეს, ამ დღის შემდეგ ნიკოსთვის მარგარიტასა და მხატვრობის გარდა ქვეყანაზე აღარავინ და აღარაფერი არსებობდა.

ფრანგი მომღერლის წარსული არავინ იცოდა მთავარი იყო _ მომაჯადოვებელი ხმა ჰქონდა.

ფიროსმანს ქალი სიცოცხლეს ერჩივნა. მოუთმენლად ელოდა საღამო ჟამს, ერთი საათით ადრე მიდიოდა მუშტეიდში. პირველ მაგიდასთან ჯდებოდა, ზომაზე მეტ ხორაგს დაუკვეთდა და ელოდა "ოქროს ჩიტის" მოფრენას.

ერთხელ, დილაადრიან ნიკო დაზგს მიუჯდა. მუყაო მოიმარჯვა და მარგარიტას ხატვას შეუდგა. დეკოლტე კაბით, წელზე გრძელი ქამრით,შიშველი მკლავებით მთელი ტანით გამოსახულ ქალს ოქროსფერი თმები ჩამოუშვა, მხარზე ოქროს ჩიტი შემოუსკუპა და ხელში ყვავილების თაიგული დააჭერინა. ჩიტით ნიკომ მარგარიტას უმაკოებას გაუსვა ხაზი. სურათი მსუბუქი, ჰარმონიული გამოვიდა, მასში სიღრმეცა და სისეტაკეც იგრძნობოდა.

სიყვარულმა ნიკოს სავაჭროც კი დაავიწყებინა. იგი მეგობრებსაც ჩამოსცილდა. 1898 წლის დამდეგს დიმიტრი ალუღიშვილთან სერიოზული კამათი მოუვიდა. წალაპარაკებას ის მოჰყვა, რომ ნიკომ უმნიშვნელო გასამრჯელო მიიღო და სავაჭრო დატოვა. ორი თვის შემდეგ მთელი დანაზოგი საყვარელ ქალს დაახარჯა.

1898 წლის ხუთ მაისს, თავისივე დაბადების დღეს ნიკომ ქალს ცხრა ურემი მინდვრის ნამიანი ყვავილებით მოურთო ქუჩა. ხოლო ერთი ურემი სისხლისფერი ვარდებით ყვავილების ხალიჩაზე, მთელ სიგრძეზე წითლად მოხასხასე ბილიკი გააკეთებინა.

რამდენიმე დღის შემდეგ დილაადრიან ნიკო მარგარიტას ესტუმრა. მეკარემ წერილი გადასცა: "ჩემო ნიკო, ვიცი სიცოცხლეზე მეტად გიყვარვარ, მაგრამ მე ის ქალი არ ვარ, შენ რომ გინდა. მე ტანჯვის მეტს ვერაფერს მოგიტან, ჩემი თბილისში დარჩენა შენი სიკვდილის ტოლია, რადგანაც მე არ შემიძლია მუდმივად მიყვარდეს ვინმე. თავისუფალ ცხოვრებას მიჩვეული ვარ... მშვიდობით შენი უმადური მარგარიტა".

წერილი ორ ადგილზე სველი იყო. ვინ იცის იქნებ წერისას სინდისმა შეაწუხა ქალი და ორიოდე კურცხალი გადმოსცვივდა.

ნიკო გულწრფელი, მიამიტი იყო, ენდობოდა ქვეყანას, ადამიანებს. მას ვერ წარმოედგინა ღალატი, მოტყუება. ამიტომაც იყო, მისი ნაზი სული ვერ შეურიგდა ღალატს. ფრანგი მომღერალი ქალის უიღბლო სიყარულმა ერთი ხელის დაკვრით დაუნგრია ოცნებების ბოლო კოშკი აფიქრებინა ის, რისი გაფიქრებაც ყოველთვის აშინებდა, ადამიანები ხშირად საკუთარი გამორჩენისთვის იღიმებიანო...

თინათინ კვინიკაძე, X² კლასი

"O tempora, O more!" - ო, დროებანო, ო, ზნე-ჩვეულებანო /ციცერონი/

* * * * *

"O tempora, O more!" – ციცერონმა თქვა,
მაგრა ყრუა სოფელი, თავს იხალე ქვა.
ამ წყვდიადში მე ვხედავ როგორ მიჰქრის მერანი,
თუ ბიჭი ხარ გაუსწარ, მუხლი თუ გაქვს მწევარის.
მაინც რაა ცხოვრება? რისთვისაა რაც არის?
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი,
კვალს არ ტოვებს ნაბიჯი, სადღაა სამართალი,
"O tempora, O more!" – აი, ჩვენი მათრახი."

* * * * *

ვეფხვით, ვერძით, ვერხვით
დახატული გვერდი,
გადაშლი და იტყვი:
- ფერადები მეტი?!
დანისლული ზვრები,
მთები, ლუში მთები,
დაგესლილი ხმლები,
გაბზარული სვეტი.
სიმართლე და სილაღე,
სიმხურვალე გულთა,
არ არსებობს დღეისთვის
არ გვჭირდება სულაც.
სიშორეზე ლხენაა,
სიახლოვეს – კვნესა,
ნეტავ კიდევ გვეცადა
სამშობლოსთვის მღერა!

პ რ ო ზ ა

ნათია ბურჭულაძე, IX კლასი

* * * * *

მე ქართველი ვარ და ქართველურად
მწამს ჩემი ღმერთი,
მე ქართველურად დავიკვნესებ
ჩემს სატკივარზე
და მე ქართული სისხლი, სული
მუდამ მექნება,
ვერვინ გაბედავს, შემედავოს
ამ ჩემს ნათქვამზე.
ვერვინ გაბედავს ხელი შეახოს
ჩემს სიამაყეს,
ჩემს სიამაყეს, რომელიც ჩემში მუდამ იქნება,
ვერვინ ჩამიკლავს გულში მე იმ
დიად სიყვარულს
და ვერ გაბედავს, რომ შეეხოს
ქართველთ ღირსებას.
ჩემს სამშობლოზე ლოცვით, ფიქრით
დამეძინება,
მე ჩემი ქვეყნის ტკივილს ვიგრძნობ
და მეტკინება,
მე მისი ბედი მაღელვებდა,
ახლაც მაღელვებს,
ეს ტრადიცია სულ თან დაგვდევს
ამაყ ქართველებს.

* * * * *

მტკვარი მიანგრევს თბილისის ქუჩებს,
თბილისის ქუჩებს დაღლილს, დაქანცულს
და კვლავ ტკივილით მას შეახსენებს
თავის წინაპრებს და თავის წარსულს.
თბილისს ამაზე გული უკვდება,
მაგრამ ამაყობს იმით ქალაქი,
რომ შერჩენიათ ქართველთ ღირსება
არ დაუკარგავთ რწმენა არაფრის.

* * * * *



მე ჩემს დარდს და ტკივილებს
შენ გაგანდობ ფურცელო,
უკვე ძლიერ დამღალე ამ ცხოვრების
უღელო.
ჩემი კალმით ნაწერი, ნატირები, ნამღერი,
შენ გაგანდე ფურცელო ჩემი დიდი დარდები.
მეგობარიც შენა ხარ და მიქარვებ ტკივილებს,
ვეღარ ვუძლებ ცხოვრებას, გული მძიმედ ღიღინებს,
შენ დამიცლი გულსაც და ღმერთიც იქვე მიშველის,
სხვას ვერავის ვერ ვუგებ, ვინც მიცნობს და მიყურებს.
სადღაც გული შეტოკდა, ალბათ მალე გასკდება,
უკვე ისე გავმეარდი ცრემლი ყელზე მადგება,
ალბათ შენც დაგამძიმე ჩემი მძიმე ფიქრებით,
მეგობრები ვიყავით და მეგობრები ვიქნებით.

პ ო ე ზ ი ა

XXI საუკუნესთან ერთად ავიდგით ფეხი. წიგნის მეგობრები გავხდით.

ჩვენ ქ. ქუთაისის 37-ე საჯარო სკოლის IV[1] კლასის მოსწავლეები ვართ.

არ გვეშინია? – არა.

ჩვენ ხომ ჯადოსნური ძალა გაგვაჩნია, ძალა სიყვარულისა და სიკეთისა, ბოროტის ძლევისა. ჩვენ ხომ წიგნის მეგობრები ვართ და წიგნი ჩვენი მეგობარია.

გვიყვარს ზღაპის გმირები. წიგნი მათთან დაახლოებაში გვეხმარება; ასფურცელას, წიქარას, ირმისას... ჩვენს მეგობრებად აქცევს და მათთან ერთად შევებრძოლებით გრძნეულ ჯადოქარს – სიზარმაცე რომ ჰქვია.

ცხოველთა სამყაროშიც შევაბიჯებთ. დავამშვიდებთ ფაფარაყრილ ლომს. გავაჯავრებთ მანჭია მაიმუნს. კენწეროში მოვექცევით უზარმაზარ ხეებს, ნებიერათ წამოვწვებით მის ტოტებზე და ლექსებს ვუამბობთ.

შევეჭიდებით მათემატიკურ ამოცანებს. წიგნთან ერთად ვიქნევთ ხმალს დიდგორსა და მარტყოფში. კუდით ქვას ვასროლინებთ ჩვენი სამშობლოს მტრებს, რადგან „მომავალი ჩვენია"

ხომ გაგიხარდათ?.. გაგიკვირდათ კიდეც? რატომ? ჩვენ ხომ წიგნის მეგობრები ვართ.

გვაქვს იმედი მომავლისა და გვჯერა, რომ ბედნიერნი ვიქნებით.

ჩვენ მეგობრები ვართ, ოცნება გვიყვარს, ყვავილები გვიყვარს, ვცეკვავთ, ვმღერით, ვიცინით.

ჩვენ ვფიქრობთ, ლექსებსა და მოთხრობებს ვწერთ. ბარათებში ვაწყობთ, მტრედს ვატნევთ, რათა ჩვენმა თანატოლებმა წაიკითხონ და იმედი გვაქვს, ჩვენი მტრედი აუცილებლად დაგვიბრუნდება მათი ფიქრებისა და ოცნებების გასაცნობად.

მარიამ აჭარაძე, IV[1] კლასი

დ ე დ ა

დედა, დედა, დედიკო,
რატომ მოგიწყენია,
ყველაფერზე რომ დარდობ,
ნუთუ არა გრცხვენია?
ყველა დიდი ტკივილი,
არ ახალი, ძველია,
შემომხედე, შენთან ვარ
შენი კოხტა ფერია.

პ ო ე ზ ი ა

ივერი თოდაძე IV[1] კლასი

ზღაპარ იყო...

ზღაპარი იყო, ზღაპარი იყო...
ზღაპრის წიგნში სქელყდიანში,
რაც იყო და რაც არ იყო
ყველა ერთად შეიკრიბა,
ყველა ერთად შეიყარა,
ასფურცელა, წიქარა და
ბაყდაყდევი;
თვით სიზმარაც.
ირმისას და დევის დედა,
ფიფქია და შვიდი ჯუჯა.
ჩექმებიან კატას ხედავთ?
ბაქიბუქა მელაკუდა?
თავყრილობაც ასე უნდა,
აგერ დათვიც ძილისგუდა,
იბაასეს, იკამათეს,
ხან ისე და ხანაც ასე:
ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
მშვიდობა და დარი იყოს,
დე, სიკეთემ გაიმარჯვოს,
ბოროტება აღარ იყოს!

* * * * *

ადესა და ციცქა,
ოჯალეში შავი....
ნაპერწკლებს რომ ისვრის,
ადის მაღლა ცაში.
გალუმპული ვარსკვლავები
ციმციმებენ უფრო,
სავსე მთვარეც მოგორავს,
ღვინის სუნი უხმობს.
მათრობელა სურნელი,
ირგვლივ ყველას ათრობს,
ჰოდა, თურმე მთვარესაც
მაჭრის წრუპვა ათრობს.
ადესა და ციცქა,
ოჯალეში შავი,
ნაპერწკლებს რომ ისვრის,
რას გაუძლებს კაცი!

პ ო ე ზ ი ა

თეონა გაბუნია, IV[1] კლასი

მაჭრით დამთვრალი მთვარე

შემოდგომაა, რთველი მთავრდება,
აჩუხჩუხდება მაჭარი მალე,
მაჭრის სურნელი ცას მოედება,
თვალებს მინაბავს დამთვრალი მთვარე.

გაბადრულა მთვარე,
დაუჭყიტავს თვალი,
რა ვიფიქრე, იცით?
ალბათ მთვრალი არის.

წ ვ ი მ ა

უცებ ჩამობნელდა და
ელვა გაკრთა მთაში
და ზეციდან წვიმა
წამოვიდა თქაშით.
ფანჯარასთან წვიმის ხმა
ისმის კაკ-კუკ-კაკ-კუკ
ბოჩოლასთან გარბის
ჩემი კარგი ბაბუ.
შემდეგ ისევ განათდა
ისევ გადაიკარა
ჩემმა ბაბუმ ასე თქვა
მზემ პირი დაიბანა.

ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა

მშვიდი დღეა, კაშკაშა მზე,
გაწვიმდება, ისიც მჯერა,
ცის მნათობზე გაბრწყინდება
მშვენიერი ცისარტყელა.
გაბრწყინდება ცისარტყელა,
გაბრწყინდება ალბათ სწრაფად
ველ-მინდორი, ყვავილები
გაეგება ფიანდაზად.

პ ო ე ზ ი ა

თეონა გაბუნია IV[1] კლასი

ყვითელი ფოთლის ხალიჩა

ხმელი ფოთლები ჰაერში
ფარფატებს შრიალ_შრიალით,
ჩიტი დაფრინავს ფოთლებში,
დაფრინავს ფრთხიალ_ფრთხიალით.
ამ ლამაზ სურათს ვუცქერი,
ფრენის სურვილი გამიჩნდა,
ოხ, რა კარგად ჩანს მინდორზე,
ყვითელი ფოთლის ხალიჩა.

თამარ მელნიკოვა IV[1] კლასი

დასევდიანდა ბუნება

დასევდიანდა ბუნება,
დადგა სიცივის დღეები,
აღარ შრიალებს ფოთლები
დადუმებულან ხეები.
ჭადარი ჭადარს გასძახის,
ეს რა დღე გაგვითენდაო,
ჩვენ ისევ შევიმოსებით,
აქ გვყვავს ადგილისდედაო.

ნოდარ ეგუტიძე, IV[1] კლასი

* * * * *

მთვარე დათვრა და დაიწყო
აქეთ-იქეთ ქანაობა,
მოეწონა ვარსკვლავებთან
ცის ტატნობში ბანაობა.
თითქოს ზეცა შეიძრაო,
ხმაურით და კიჟინითა,
მთვრალი მთვარე ლამის ციდან
გადმოვარდეს სიცილითა.

პ ო ე ზ ი ა

რეზო დემეტრაძე, IV[1] კლასი

ჩემი ნატვრა

იცით, მამა როგორ მიყვარს,
ჩემი კარგი მამიკო,
ის ჩემია! – არა, ჩემი! –
ვჩხუბობთ მე და დაიკო.
მინდა, ნატვრა ამისრულდეს,
როცა დიდი ვიქნები.
სულ მამიკოს დავენსგავსო,
გვქონდეს ერთი ფიქრები.
ერთად, ერთად გადავლახოთ
ჩვენი ქვეყნის მთა-ველი,
სიხარულით დავიძახო,
რომ ვარ ნაღდი ქართველი.

მარიამ რუხაძე, IV[1] კლასი

ჩემო სამშობლოვ

წვიმა წამოვიდა, შენი ცრემლებია,
ადე, შეიხვიე, ძვირფასო, იარა.
მთებზე შემოდგომის ჭრელი ფერებია,
ხვალეს დაგილოცავ, დღევანდელს კი არა...

სისხლი

არაფერი არ იცვლება,
ზამთარს შეცვლის ზაფხული,
მამის სისხლი კახური მაქვს,
დედის სისხლი _ რაჭული.
ერთიანად აყვავდება
ლიხს იქით და ლიხს აქეთ,
კუთხურობა რას მიქვია,
ქართველობა მაცალეთ!
ერთიანად მიყვარს ჩემში
ქართლ_კახური გენები,
გაზაფხულო, დამილოცე
ჩემი მიწის ფერები!

პ ო ე ზ ი ა

სოფო ღვინჯილია, IV კლასი

საწყალი ხოჭო

დაეცა ხოჭო,
ველარ დგება
და უცდის ვინმე,
თუ გამოჩნდება.
მის გულს ძლიერი
დარდი ედება
ვაითუ არვინ
არ გამოჩნდება...
გადარჩა ხოჭო,
დარდი, რის დარდი,
მისთვის დრო არა,
აღარ ჩერდება.
მიფრინავს, ფიქრობს
ნახეთ რამდენი,
ქვეყნად რამდენი სიკეთე ხდება!

* * * * *

მაჭრით დამთვრალი მთვარე
ბანცალ_ბანცალით მიდის,
უკან მიჰყვება ღამე
და ვარსკვლავებიც მიქრის.
მოსწონს სიმთვრალე მთვარეს,
მოსწონს და კიდეც ეტრფის.
იცინის, მხიარულობს,
დარდი არა აქვს ზეცის.
ვარსკვლავი რჩება მარტო
ეული, ღამის ცაზე,
დაეძებს მთვარის შუქს და
მღერის სევდიან ხმაზე.

გაუმარჯოს მზესაო

გაუმარჯოს მზესაო!
გაუმარჯოს მთებსაო!
გაუმარჯოს ველსაო!
ჩვენს საყვარელ ერსაო.
დიდება ნუ მოაკლოს
ჩვენს დაჩაგრულ ერსაო!
ღვთისმშობელი ფარავდეს
ჩვენს სამშობლოს ბრძენსაო!

ანუკა ჭონიშვილი, VIII კლასი

ჯეინ ეარი

თავი XV

შუა ზაფხული იდგა. მცხუნვარე მზე დაჰნათოდა მობიბინე მწვანე ველებს, გზატკეცილებსა და და ტყეებს. ერთ საღამოს ადელის დაძინების შემდეგ ბაღში გავედი. განმარტოებით მინდოდა ყოფნა, ამიტომაც მყუდრო ადგილი ავარჩიე. ვფიქრობდი, რომ ვერავინ შემამჩნევდა, თუმცა მალე აღმოვაჩინე რომ მარტო არ ვიყავი, მისტერ როჩესტრი მანამდე მისულიყო. გადავწყვიტე დაუყონებლივ დავბრუნებულიყავი შინ, თანაც უჩუმრად. სწორედ იმ დროს, როცა მეგონა სამშვიდობოს გავედი-თქო, სანატრელმა ხმამ დამიძახა:

- ჯეინ, მოდი შეხედე რა ლამაზი ფარვანაა. სამწუხაროდ უკვე გაფრინდა. დარჩი. ასეთ მშვენიერ ღამეს რა უნდა აკეთო შინ. არ გინდა ჩემთან ერთად ისეირნო?

ნამდვილად არ მქონდა მიზეზი მისთვის უარი მეთქვა. ჩემთვის ბედნიერება იყო საყვარელ მამაკაცთან ყოფნა. დიდხანს ჩუმად მივდიოდით. შემდეგ დაიწყო იმის ახსნა, რომ მალე ის იქორწინებდა, რომ ძალიან წუხდა იმის გამო, რომ ადელის სასწავლებელში გაგზავნა მოუხდებოდა, რომ ჩემთვის ახალი სამსახური უნდა მოეძებნა... ეს ყოველივე კი ძალიან დიდ სევდას გვგრიდა ორივეს. ჩოტა ხნის შემდეგ შევიტყვე ახალი სამსახურის შესახებაც. კარგი ოჯახი შეერჩია ირლანდიაში. ამის გაგონებისას ტირილი ვეღარ შევიკავე, ცრემლები თავისთავად მომდიოდა. საშინელ სიცივეს და სიცარიელეს ვგრძნობდი იმის გაფიქრებაზეც კი, რომ ჩემი საყვარელი ბატონისგან ასე მოშორებით უნდა მეცხოვრა.

- მართლაც რომ ძალიან შორია.... იცი ჯეინ, ზოგჯერ მგონია ჩვენ რაღაც უხილავი ძაფებით ვართ დაკავშირებული. თუკი შენ ჩემგან ასე შორს წახვალ შესაძლოა ეს ძაფი გაწყდეს, მაშინ კი ჩემი გული უთუოდ სისხლისგან დაიცლება.

საკუთარი თავის კონტროლი დავკარგე, გრძნობებს ვეღარ ვიმორჩილებდი. ვამბობდი ყველაფერს, რის თქმასაც მანამდე ვერ ვბედავდი.

- ნეტავ არასოდეს გამეცანით მისტერ როჩესტერ. შულაც არ დავბადებულიყავი ნეტავ. უთქვენოდ ცხოვრება ჩემთვის სიკვდილს უდრის. ახლა, როცაუნდა დაგტოვოთ, ვგრძნობ, რომ ჩემი ცხოვრება უთქვენოდ დასრულედება.

- რატომ უნდა წახვიდე ჯეინ? – მკითხა მან ფრთხილად.

- რატომ? – გავიმეორეამაზრზენი ხმით. – თქვენ ხომ საცოლე გყავთ, მალე იქორწინებთ. ღოგორ გგონიათ შემიძლია ავიტანო სხვა ქალი თქვენს გვერდით?! თქვენ ფიქრობთ, რომ მე რკინის ადამიანი ვარ, გრძნობების გარეშე. Mხოლოდ იმიტომ, რომ მე ღარიბი, უსუსური და პატარა ვარ არა მაქვს გული?! სცდებით ბატონო! შწორედ ჩემი გული გელაპარაკებათ ახლა. მეც ისეთივე სული მაქვს, როგორც თქვენ. დაიმახსოვრეთ ღმერთის წინაშე ჩვენ თანაბარი ვართ!

- ჩვენ ვართ! – გაიმეორა მან, თან გულში მიკრავდა და სახეს მიკოცნიდა. – დამფრთხალი ჩიტივით თრთი, ნუ ჯეინ!

- გამიშვით, ღვთის გულისათვის, ნუღარ მტანჯავთ! მე ჩიტი არ ვარ, მე თავისუფალი ადამიანი ვარ.

- რა თქმა უნდა, თავისუფალი ხარ ჯეინ. მხოლოდ შენ უნდა გადაწყვიტო, გინდა თუ არა შენი ცხოვრება დამიკავშირო?

- დამცინით?! თქვენ ხომ უკვე აირჩიეთ ცხოვრების თანამგზავრი?!

- ჯეინ, ჩემო პატარა, საყვარელო ჯეინ. გთხოვ, რომ ჩემი ცოლი გახდე. ახლავე აგიხსნი: მე არ მიყვარს მის ინგრემი, არც მას ვუყვარვარ. მას მხოლოდ ჩემი ქონება ხიბლავს. მხოლოდ შენ მიყვარხარ, მთელი არსებით. შენ, ჩემო პატარა, ღარიბო, უბრალო გოგო!

მთვარის შუქზე შევნიშნე სახე სულ გაფითრებოდა. მან მრავალჯერ დაიფიცა, რომ ნამდვილად ვუყვარდი. Mე კი სიამოვნებით ვუპასუხე მის გრძნობას და ვუთხარი: “ედვარდ, მინდა თქვენი ცოლი გავხდე”.

ანა რეხვიაშვილი, VIII კლასი

ჯეინ ეარი

თავი XXV

მისტერ როჩესტერის ახალი სამყოფელი დიდი, ძველი და ბნელი სახლი ტყეში იდგა. მივუახლოვდი წინა ვიწრო კარი შევაღე. უმალვე გავარჩიე ნაცნობი სილუეტი. ის ჩემი საყვარელი ბატონი იყო. სუნთქვა შემეკრა. გრძნობები ერთმანეთში მერეოდა. გულში სევდნარევი ბედნიერება ჩამეღვარა. ის ისეთივე ძლიერი ჩანდა, როგორც მანამდე, თმა ისევ შავი ჰქონდა, თუმცა მზერა შეცვლოდა. სახეზე სიმწარე და მარტოსულობა აღბეჭდოდა. ასეთი ნაღველი უწინ არასოდეს შემინიშნავს. ნელა მიაბიჯებდა, დროდადრო შეჩერდებოდა და ცას მიაპყრობდა მზერას. მაგრამ ეს მზერა არ ჰგავდა მისას. აშკარა იყო ვერაფერს ხედავდა. წვიმა დაიწყო. ის ვიწრო ბილიკს ფრთხილი ნაბიჯებით მიუყვებოდა. ბოლოს შინ შევიდა.

როდესაც დავაკაკუნე, კარი ერთ-ერთმა ძველმა მსახურმა ჯონმა გამიღო. რა თქმა უნდა, ჩემმა დანახვამ ძალიან გააოცა.

მიუხედავად იმისა, რომ მისტერ როჩესტერი ვეღარ ხედავდა, მის ოთახში ყოველ ღამეს მაინც უნდა აენთოთ სანთლები. მსახურს არ დავანებე, სანთელი გამოვართვი.

ედვარდი ბუხრის წინ სავარძელში იჯდა. იგრძნო, რომ ოთახში ვიღაც შევიდა. თუმცა იქ იმ დროს მსახური ქალის გარდა არავის ელოდა.

_ სანთლები დადე, მერი- ამოიხვნეშა მან.

ინებეთ, სერ - ვთქვი მე.

მაგრამ, თქვენ ხომ მერი არა ხართ? – თქვა მან და პასუხს სულგანაბული დაელოდა. მთელი არსებობით მიუგდო ყური.

მერი სამზარეულოშია - იყო პასუხი.

- ღმერთო ჩემო, ეს ყოველივე სიგიჟეა თუ ტკბილი ზმანება? ნუთუ ჩემი ჯეინი დამიბრუნდა? საიდან მესმის უსაყვარლესი ხმა? ვერ გხედავ, მაგრამ გგრძნობ, მთელი გულით გგრძნობ, ნუღარ მტანჯავ საყვარელო, გამხადე ღირსი, რომ შეგეხო, რათა დავრწმუნდე ამ ყოველივეს სიცხადეში.

მიუახლოვდი. ის კი როგორც წყალს ისე დამეწაფა. გულში ჩამიკრა.

- დიახ, აქ ვარ. ჩემი გულიც აქ არის. ჩემი სიყვარულიც. გიპოვე და შენთან დავბრუნდი სანატრელო.

- ოცნება ამიხდინე ჯეინ. ბნელი ცხოვრება გამინათე. საზარელი ძილიდან გამომარკვიე. ნატვრა სიცხადედ მიქციე ჩემო პატარა.

ძალიან თბილი იყო ის ღამე. ედვარდს კარგა ხანს არ ეჯერა ის, რაც მართლა რეალობა იყო. გამუდმებით მიმეორებდა, თუ რა სატანჯველი იყო მისთვის უჩემოდ გატარებული ერთი წელი. მეც ვუამბე ჩემი ცხოვრების შესახებ. ეხლა მე უკვე მდიდარი ქალი ვარ. თუმცა ეს არაფერს ცვლიდა. მე მზად ვიყავი მთელი ჩემი ცხოვრება და არსება ედვარდისათვის მიმეძღვნა, მისთვის დამეკავშირებინა და ამიერიდან არასდროს მენახა ის დათრგუნული და ნაღვლიანი.

ახლა როცა ჩვენი შეუღლებიდან ათი წელი გავიდა, განვლილ ცხოვრებაზე ვფიქრობ. არაფერი შეცვლილა ჩვენს ურთერთობებში. ისევ ისე გვიყვარს ერთმანეთი. ის მე მეკუთვნის, მე კი მას. ქორწინებიდან, ორი წლის შემდეგ ედვარდს თანდათანობით მხედველობა დაუბრუნდა. როდესაც ჩვენი პირველი შვილი ხელში დაიჭირა, შენიშნა, რომ პატარას ზუსტად მისივე ლამაზი, შავი თვალები ქონდა. ყველაზე უფრო ბედნიერებას ის მგვრის, რომ უკვე ვიცი თუ რაოდენ დიდი საჩუქარია უყვარდე სიგიჟემდე მას, ვინც თავდავიწყებით გიყვარს.

კოშკი, კოსტავა ზურა, VII კლასი

ქართულიდან რუსულად თარგმნა ხმელიძე ნინომ, X კლასი

ირაკლი ბაზაძე

მინდა და ვეღარ ვიხსენებ ზამთარს

Хочется и не вспоминается зима

Хочется и не вспоминается зима,
Хочется но не чувствуется июльская жара.
И к думе как к любимому усопшему
Моё прошлое
Забретёт случайно.
Что-то теряло
Что-то уносит дым
Уходящий с камина.
Жизнь. А что она жизнь?
Шаг распятого ли бога
Или шорох лавра Буэра
Или Галактиона прыжок
И выстрел Хемингуэя?
Так или одни,
Сотни, тысячи,
И я уйду, только бы мочь...
Но как быть когда никак
Не вспоминается зима и,
Не чувствуется сегодняшняя
Июльская жара.

თურქულიდან თარგმნა ინფორმაციულმა მენეჯერმა
ნანა კლდიაშვილმა

ომერ სეიფედინი

ე ჭ ვ ი ა ნ ო ბ ა

"ეს მოთხრობა, დიდი ხნის წინ, ახალგაზრდობაში დავწერე, მაგრამ სითამამე არ მეყო რომ გამომექვეყნებინა. ახლა გარდაცვლილი დედაჩემის წიგნებს შორის ვიპოვე, საოცარი ინტერესით წავიკითხე. ძალიან, ძალიან მომეწონა. ადრე რატომღაც თვალში არ მომივიდა და გვერდზე მივაგდე. ახლა რატომ მომხიბლა ასე? ნუთუ იმიტომ, რომ საბრალო დედაჩემის სინაზეს მაგონებს?

რაც არ უნდა იყოს, საყვარელო ჯანიბ! ამ მოთხრობას, რომელსაც დღესდღეობით ჩემს საუკეთესო თხზულებად ვთვლი, შენ გიძღვნი".

- იმ დროს მხოლოდ ოცი წლის თუ ვიქნებოდი, - დაიწყო აჰმედ სუჰრან ბეიმ, - მამაჩემმა, რომელსაც ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა, ვეღარ აიტანა ჩემი სიმდაბლე და აღვირახსნილობა. დედამ ჩემი საკითხი ოჯახში ბებიასა და მოხუც მამიდასთან ერთად განიხილა. მათ კი ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება ჩემი სტამბოლიდან შორს გაგზავნის შესახებ. იმ ხანად იანიას ვილაიეთის ინსპექტორი მამაჩემის მეგობარი იყო. სწორედ ამ ვილაიეთის ერთ-ერთ კასაბაში[1] უნდა წავსულიყავი და იქ ტელეგრაფისტად მემუშავა. მათი აზრით, ასე ყველაფერს კარგად გავიაზრებდი და დავშოშმინდებოდი. დედამ საკმაოდ რბილად მითხრა:

- ძალიან დასუსტდი შვილო... ჰაერსაც გამოიცვლი... თან ქვეყანას ნახავ... თან თავსაც იპოვი... შესავალი სიტყვის დამღერების შემდეგ, დედამ მთხოვა გასამგზავრებლად მოვმზადებულიყავი. მე ვეღარ მოვითმინე და წამოვიძახე:

- არსადაც არ წავალ, ეგ არ მოხდება!

დედა დამემუქრა, რომ თუკი წინააღმდეგობას გავაგრძელებდი, მამას მოუყვებოდა ჩემი ბოლო დანაშაულის შესახებ, რაც საშინელ ზემოქმედებას მოახდენდა მასზე. თან ფიცით მარწმუნებდა, რომ მამას თხოვდა და რამდენიმე თვეში უკან დაბრუნებასაც შევძლებდი.

მე რა თქმა უნდა ასეთი ფიცი-მტკიცისა არ მჯეროდა, მაგრამ იმ მხარის ნახვის სურვილმა მძლია და დავთანხმდი:

- კარგი, მაგრამ სამ თვეზე მეტს არ გავჩერდები!

უხვი გზის ქირა... სამასორმოცდაათი ყურუში ხელფასი... ეს ყველაფერი კარგია! მაგრამ ჩემს საყვარელ სტამბოლთან სამი თვე გამშორება?!

უკვე თითქმის ხუთი წელი იყო, რაც სტამბოლიდან ფეხი არ გამიდგამს. ისე შევეჩვიე ამ ქალაქს, თითქოს ის ადგილი ყოფილიყოს, სადაც დავიბადე და გავიზარდე. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ადამიანს ყოველგვარი გაჭირვებისას შეუძლია თავი ინუგეშოს. მეც გამახსენდა ყველა ის მშვენიერი საპორტო ქალაქი, სადაც მაშინ შევიარეთ, როცა მამაჩემის უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, კრეტადან, წამოვედით.

- ახლა ბევრად უკეთ გავერთობი. მაშინ ხომ სულ მთლად ბავშვი ვიყავი - ყველაფერი წარმოვიდგინე და ტკბილ ოცნებაში გადავეშვი.

პირველი პორტი, სადაც გაჩერება მომიწევს, სალონიკია. შემდეგ იზმირი, ბეირუთი, მათ შემდეგ პიროსი, ათენი, პელეპონესი, ფერვუზი, იქიდან კი იანიაში ჩავაღწევ, სადაც დავიწყებ კიდეც ჩემი სამუშაოს შესრულებას. მართლაც მშვენიერი მოგზაურობა იქნება!

ოჯახთან ლაკონური დამშვიდობება... გემზე მამაჩემის ფასდაუდებელი რჩევა-დარიგებების მიღების შემდეგ ავედი. ეს მრავალრიცხოვანი რჩევები მამას რომ ჩამოეწერა, ალბათ თავისუფლად გაავსებდა სამ-ოთხ თაბახის ფურცელს.

სალონიკში ორი დღე გავჩერდით. საჭიროდ არ ვთლი გიამბოთ, რომ ორი ღამე მუსიკის ხმით გაყრუებულ სახლში გავატარე. სალონიკის შემდეგ ცოტა ვიავადმყოფე. იზმირშიც ორი დღე მოგვიწევს გაჩერება. აქ გართობაზე იმ მიზნით ვთქვი უარი, რომ ჩემი ფული ათენში დამხვდებოდა და იქ კი მართლაც გვარიანად მოვილხენდი. ამასთან, არც იმაზე დავთანხმდებოდი, რომ საღამოები ჩემი ჩალმიანი თანამგზავრების მსგავსად გემზე გამეტარებინა. ამიტომ ერთ-ერთ სასტუმროში გავჩერდი.

ვახშმობისას ვიგრძენი, რომ ერთი წვერებიანი ბატონი დიდი ყურადღებით მათვალიერებდა. ცოტათი შევცბუნდი კიდეც, მაგრამ ჩემი ცნობისმოყვარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ვახშმის შემდეგ, როცა ყავას შევექცეოდით, ამ ბატონმა სახელი მკითხა. ჩემი პასუხის შემდეგ, მამაჩემის ვინაობა იკითხა, როცა ესეც ვუთხარი, საოცარი მოძრაობით ხელი ტუჩებთან მომიტანა და მითხრა:

- აბა, ბიძაშენს ხელზე ეამბორე!

მე ცოტა არ იყოს დავიბენი, მაგრამ მალევე ვიცანი. როცა ამ ფუმფულა ხელს ვკოცნიდი, გამახსენდა ჩემი კეთილი და დელიკატური ბიძა, რომელიც სპარსეთის საელჩოს მდივნად მუშაობდა და წელიწადში ერთხელ მისგან ყოველთვის ვიღებდით მუჰარემის[2] მისალოც ბარათებს.

მართლაც საოცარი დამთხვევაა... მოხუცი თურმე სტამბოლში ბრუნდებოდა. დედასა და მამაზე მკითხა. იმ საღამოს, სამ საათამდე, ყავახანაში ვისხედით და ვსაუბრობდით. სასტუმროში რომ დავბრუნდით, ხანგრძლივი მოგზაურობისათვის ჩვეული დაღლილობისაგან უკვე თვალები მეხუჭებოდა. ბიძაჩემი პირველ სართულზე ცსოვრობდა. როცა მისი ოთახის კართან მივედით, მან მხრებზე ხელი მომითათუნა და მითხრა:

- ძილი ნებისა შვილო! დილაობით ადრე ვერ ვიღვიძებ, თუ შეგიძლია, გამაღვიძე.

- დიდი სიამოვნებით, - მივუგე მე და ერთმანეთს დავშორდით. ჩემს ოთახში ავედი. აი, ერთი ღამით გართობაზე უარის თქმამ რა მშვენიერი შეხვედრა მომიზღო! არავითარ ეჭვს არ იწვევდა ის, რომ სტამბოლს დაბრუნებული ბიძაჩემი ჩემიანებთან სიტყვას შემაწევდა და პატიოსან ჭაბუკად დამახასიათებდა.

დილით ადრე გამეღვიძა. სწრაფად ჩავიცვი და ბიძაჩემის ოთახისაკენ გავეშურე. ბიძაჩემი უკვე ამდგარიყო, ჩაეცვა და ფესს[3] წმენდდა. ჩემი შესვლა სარკიდან შეამჩნია, ჩემსკენ შემობრუნდა და მითხრა:

- დილა მშვიდობისა შვილო, იმედია, დღეს გამაცილებ?!

- დიდი სიამოვნებით ეფენდი - ვუპასუხე მე და გამეღიმა. ამ დროს რაღაც უცნაური საგანი მომხვდა თვალში, რომელიც ფოლადის ყვითელბურთულებიან საწოლთან მიმალულიყო. თეთრი შუბა... ან ძაღლი... ინტერესმა მძლია და მისკენ გავემართე. როცა მივუახლოვდი, დავინახე, რომ ორი ბრჭყვიალა შავი თვალი მიცქერდა. ეს არც ძაღლი იყო და არც კატა...

- რა ლამაზია! - წამოვიძახე უნებურად.

ბიძაჩემმა ზედმიწევნითი სიფრთხილით დაიხურა თავზე ფესი და ჩემთან მოვიდა.

- მართლაც რომ ლამაზია. ეს მაიმუნი ერთმა ინდოელმა ვაჭარმა მაჩუქა. წამოსვლისას, ვერც გასაყიდად გავიმეტე და ვერც დასატოვებლად.

- ნუთუ ეს მაიმუნია? - გავოცდი მე. თეთრი მაიმუნი არასოდეს მენახა. ჩემმა დელიკატურმა ბიძამ გაიღიმა, მაიმუნს მიუალერსა და მითხრა:

- ინდოეთისათვის ჩვეული განსაკუთრებული ჯიშია, ფენომენალურად ჭკვიანი, თანაც იშვიათი. ჩემი განცვიფრების შემხედვარე, ბიძაჩემი სულ უფრო და უფრო მეტს მესაუბრებოდა მის ისეთ ქმედებებზე, რაც მაიმუნის მოხერხებულობასა და გამჭრიახობაზე მიუთითებდა. ბოლოს კი დაამატა:

- როგორც ვხედავ, ძალიან მოგეწონა, ამიტომაც გისახსოვრებ!

მაიმუნი რაში უნდა გამომადგეს? მხოლოდ ზედმეტი დავიდარაბაა! ერთი თეთრი ქათქათა ნივთია. მხოლოდ გამაოცა და მეტი არაფერი. მაშინვე უარი განვაცხადე:

- არ მინდა!

ბიძაჩემმა ჩემი უარი თავაზიანობას მიაწერა და მარწმუნებდა, რომ მოსარიდებელი არაფერი იყო.

რა უნდა მექნა? იძულებული გავხდი დავთანხმებულიყავი.

იმ დღეს ბიძაჩემი სტამბოლს გაემგზავრა, მაიმუნი კი ჩემთან დარჩა. მაიმუნი ძუ იყო. ისეთი ლამაზი იყო, რომ... სხვა ჯიშის მაიმუნებისაგან განსხვავებით, მისი სახე არ იწვევდა უსიამოვნო შეგრძნებას. მბზინვარე თეთრი ბეწვი, წვრილი თეთრი ფეხები, ძალიან საყვარელი და ფაფუკი იყო. ნახშირივით შავ თვალებში ისეთი სითბო ედგა, რომ... როცა ხელში ავიყვანე, სიხარულისაგან აჭყლოპინდა.

გემზე ყველა მგზავრი გავაოცეთ. არც ერთ მათგანს, ისევე როგორც მე, არასოდეს ენახა თეთრი მაიმუნი. პიროსში ამ ლამაზი არსების გაყიდვა გადავწყვიტე. მაგრამ ათ ლირაზე მეტი არავინ შემომაძლია, მეც სიხარბე გამოვიჩინე და გადავწყვიტე არ განვშორებოდი. ასე რომ, ჯეროვნად ვერავინ შეაფასა ეს ლამაზი ცხოველი. რას იზამთ ბერძენთა ქვეყანაა!

ჩემი მოგზაურობის დასასრულს დღეები სიზმრის სისწრაფით მიედენებოდა. ფერვეზი უკან მოვიტოვე და იანიაში ჩავაღწიე, ტელეგრაფის შენობაში გამოვცხადდი. იქაურობა ძალიან ლამაზი იყო. ბაღები და ვენახები... შორეული ჰორიზონტები... ცისფერი მთები... შემდეგ მეწამული მთები... სამუშაო ოთახის მაღალ ფანჯრებს მსუბუქი ნიავი ელამუნებოდა.

მთელი დაბა ბერძნებით იყო დასახლებული. პირველი დღეები უსასრულო მოწყენილობაში გაილია. რა თქმა უნდა არ მჯეროდა დედაჩემის დაპირებისა "მხოლოდ სამი თვე". აშკარა იყო, რომ დიდხანს მომიწევდა დარჩენა და აქ ცხოვრებისათვის მოწესრიგება დავიწყე.

ჩემამდე მომუშავე მოხელე ცოტა მოფილოსოფოსო ყოფილა. დამტვერილი და მოუვლელი ოთახი გავასუფთავებინე. სავარძელი ისეთი ჭუჭყიანი იყო, რომ იძულებული გავხდი მასზე შალითა გადამეკვრევინებინა. მხოლოდ ამის შემდეგ შევუდექი წერილების გაგზავნას... დროდადრო დეპეშებსაც ვაგზავნიდი.

ტელეგრაფისტები ყველა მხარიდან ტელეგრამით მესალმებოდნენ:

- კეთილი იყოს თქვენი მოსვლა!
- მოხარული ვარ თქვენი გაცნობის! - ვპასუხობდი მე.

ეს უაზრო მიმოწერა დიდხანს რომ არ გაგრძელებულიყო, უქეიფობას მოვიმიზეზებდი ხოლმე. ამას მათთან ლაყბობიბისაგან თავის დასაღწევად ვაკეთებდი, მაგრამ უარესად გავები. ყოველ დილით მთელი რაიონის ტელეგრაფისტები მეხმიანებოდნენ:

- დღეს როგორ გრძნობ თავს?

ტელეგრაფისტების სამყარო, სულ სხვა სამყაროა. აპარატთან მარტო ყოფნისას, რამდენიმე ფერსაჰით[3] დაშორებულ კოლეგასთან გამუდმებულ კონტაქტში იმყოფები. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი თვალითაც არ უნახავთ, ეს კონტაქტი იმდენად ახლოა, რომ ერთმანეთს ემდურებიან და მოგვიანებით ურიგდებიან კიდეც. კოლეგა, რომელიც ჯერ სახელს, გვარს, ოჯახურ მდგომარეობას და შენი ცხოვრების სხვა წვრილმანს გეკითხება, ერთი კვირის შემდეგ ისეთ თემებზე დაგიწყებს საუბარს, რასაც ყველაზე გულითად მეგობარსაც კი არ გაუმხელდი.

მე ეს ყველაფერი კარგად ვიცოდი, ამიტომ სატელეგრაფო გამოხმაურებებს მოკლედ ვპასუხობდი და მათ ლაყბობას ცივ სერიოზულობაში ვახშობდი. ჩემი სავარძელი ფანჯარასთან იდგა. საათობით ვიჯექი ამ სავარძელში და გავცქეროდი მშვენიერი პეიზაჟს. ჩემი დაულაგებელი და გარყვნილი ცხოვრებისაგან მოშლილი ჯანმრთელობაც თანდათან მიუმჯობესდებოდა. ყოველთვის მახსოვდა ფორმულა: "ავადმყოფია ახალგაზრდა, რომელსაც არ სძინავს და მოხუცი, რომელსაც გამუდმებით სძინავს". ამიტომ მოძალებულ ძილქუშს არ ვეწინააღმდეგებოდი, მაშინვე სავარძელში კარგად მოვკალათდებოდი და ძილს მივეცემოდი..

მაიმუნი ჩემი დამჯერე და მორჩილი მეგობარი გახდა. საქმეებშიც მეხმარებოდა. თუკი წყალზე მივანიშნებდი, მაშინვე მომიცუნცულებდა. როცა მეძინა, არ ჰქოდა მნიშვნელობა დღე იყო თუ ღამე, სატელეგრაფო ზარის დარიკვისთანავე მოირბენდა და მაღვიძებდა.

ერთ დღეს სადილობის შემდეგ წავთვლიმე. თმაში უმნიშვნელო შეხება ვიგრძენი. თვალები ფრთხილად გავახილე და რას ვხედავ?! მაიმუნი თმაში მეალერსება. ამ ნაზი, თეთრი და ფაფუკი ხელის საოცარი გავლენის ქვეშ ჩამეძინა. როცა გამოვიფხიზლე, დავინახე, რომ ჩემს წინ იჯდა და რაღაც უცხო გრძნობით შეპყრობილი მომშტერებოდა. ეხლა ეს ყოველდღე ასე მეორდებოდა, მეფერებოდა, მეალერსებოდა, შემდეგ წინ დამიჯდებოდა და დაძინებულს თვალს არ მაცილებდა.

მშვენიერი დილა გათენდა... პირი დავიბანე და ფანჯარაზე დაყრდნობილი ნისლის ქვეშ მოცახცახე ჰორიზონტსა და მზისაგან გაწითლებულ ღრუბლებს გავცქეროდი. უცებ კარი გაიღო. მოვტრიალდი. ღია კარებში ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი გოგონა იდგა. მხოლოდ ბერძენი ქალებისათვის ჩვეული მგზნებარებითა და სიკეკლუცით მკითხა:

- ტელეგრაფისტი თქვენ ბრძანდებით, ეფენდი?
- დიახ, - ვუპასუხე მე - რით შემიძლია გემსახუროთ?

როგორც გაირკვა, ათენში მოხუცი მამისათვის ტელეგრამის გაგზავნა სურდა, იანიაში საღსალამათი ჩავედიო. ტელეგრამა გავაგზავნე. ქალიშვილი ისეთი თამამი იყო, რომ... ათ წუთში ათი წლის სალაპარაკო ილაპარაკა. გავიგე, რომ მამამისს ათენში საბაყლო დუქანი ჰქონია. თვითონ კი იანიაში დეიდასთან ჰაერის გამოსაცვლელად სტუმრად ჩამოსულიყო. ვიგრძენი, რომ მადმუაზელს თვალში მოვუვედი და ვუთხარი:

- აქაურობა ძალიან ლამაზია, მაგრამ ხმაურს იქნებით შეჩვეული და ცოტა შეიძლება მოგეწყინოთ კიდეც.

ძალიან მალე დავმეგობრდით. მეორე დღეს, როცა ტელეგრაფის შენობის წინ გაიარა, მივესალმე. მანაც ღიმილით მიპასუხა. ჩვენი მეგობრობაც თანდათან გაღრმავდა. საათობით ვსეირნობდით ტელეგრაფის შენობის წინ, ხეივანში. მას ელენი ერქვა. არც ძალიან გონებამახვილი იყო და არც მთლად სულელი ეთქმოდა. ათენში ფრანგულს სწავლობდა. თვლიდა, რომ მთელი ლიტერატურა მხოლოდ სკოლაში ნასწავლი კორნელით, რასინითა და ფენელონით ამოიწურებოდა.

ერთ საღამოს, როცა ხეივანში კვლავ ახალგაზრდული ქარაფშუტობით ვმასლაათობდით, შევამჩნიე, რომ მაიმუნი ჩვენსკენ მოდიოდა.

- რატომ მოდის? - მკითხა მან.
- არ ვიცი, ვნახოთ რას იზამს! - ვუპასუხე.

მაიმუნი კალთაში მწვდა. სპეციფიკური ხმა ჰქონდა, როცა მას გამოსცემდა, ვხვდებოდი, რომ სატელეგრაფო ზარი რეკდა. ეხლაც სწორედ ამ ხმაზე გაჰკიოდა.

- მაპატიეთ მადმუაზელ, ტელეგრამა უნდა მივიღო, - ვუთხარი და გავშორდი.

შენობისაკენ გავემართე. როცა ტელეგრაფს მივუახლოვდი შევამჩნიე, რომ მაიმუნი ძალიან კმაყოფილი სახით მიცქერდა. შენობაში სირბილით შევარდი, მაიმუნი არ შემოსულა.

მანქანა შევამოწმე, არცერთი მხარიდან არავითარი ნიშანი არ იყო. სატელეგრაფო ზარიც არ რეკდა. ყველას დავუკავშირდი, არავის არ მოვუხმივარ.

ნუთუ მაიმუნმა მომატყუა?

გარეთ გამოვედი, რათა კვლავ ელენთან დავბრუნებულიყავი. უცებ ყვირილი შემომესმა. შორიდანვე დავინახე, რომ ქალიშვილს სახეზე ხელები ჰქონდა აფარებული. თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი მისკენ და რას ვხედავ! თითებს შორის სისხლი მოჟონავდა, ტკივილისაგან თვალები დახუჭული ჰქონდა. რა მოხდა-მეთქი, ვკითხე შეშინებულმა.

- მაიმუნმა სახე დამიკაწრაო, - მიპასუხა.

მაშინვე მოხუც ექიმთან გავქანდი. ელენი სახლში წავიყვანეთ. საბედნიეროდ ჭრილობა უმნიშვნელო აღმოჩნდა. მაგრამ ჩემი სიბრაზე ამით არ დამთავრებულა. როცა ოთასში დავბრუნდი დავინახე, რომ მაიმუნი მაგიდის ქვეშ იჯდა და კმაყოფილი და გაბადრული სახით მიცქერდა. კუთხეში მიყუდებულ მსხვილ ჯოხს დავავლე ხელი და მთელი ძალით ცემა დავუწყე.

თაგვანები

მაიმუნს არ შეშინებია, მაგრამ თითქოს გაოცდა. რისხვა ვერ დავიოკე, კეფაში ვწვდი და გარეთ მოვისროლე. ძირს დავარდნისას ისეთი თვალებით შემომხედა, რომ დღემდე ვერ ვივიწყებ.

იმ ღამით მთელი ღამე კარზე აფხაჭუნებდა და მეძახდა. მე ხმა არ გავეცი. მომდევნო დღეს კი დაიკარგა.

სამი დღე არ გამოჩენილა.

მეოთხე დღეს ერთმა გლეხმა მომიყვანა, "მდინარის სათავესთან ხევში ვიპოვეო".

მაგრამ რომ იცოდეთ, რას ჰგავდა? დასუსტებული, ტალახში ამოსვრილი, დაუძლურებული, უბადრუკი... ოთხი დღის განმავლობაში უთუოდ არაფერი ეჭამა. მისი საყვარელი თხილი შევთავაზე, არც კი შეხედა... თვალები დახუჭა და წკმუტუნი დაიწყო. მივხვდი, რომ ტიროდა... მრისხანება სრულიად გამინელდა და ძალიან შემებრალა ეს ჩემი ძვირფასი სახსოვარი.

შევეცადე ძალით მეჭმია და გამომეცოცხლებინა, მაგრამ გაჯიუტდა. არც ჭამდა, არც სვამდა, ბოლოს ათი დღის შემდეგ მოკვდა. შიმშილით თავი მოიკლა!

საბრალო პატარა ცხოველმა ჩემზე იეჭვიანა, მერე კი ჩემი შეურაცხყოფით განაწყენებულმა თავი მოიკლა. როცა მისი თეთრი ნეშტის წინ ვიდექი და ვუყურებდი მის თეთრ ხელებს, თეთრ ფეხებს, მის სახეზე აღბეჭდილ სათნო ღიმილს, მანამდე ჩემთვის უცნობი ნაღველისაგან ცრემლი მომერია. თმაში თითქოს ისევ ვგრძობდი მისი თითების შეხებას.

იმ დღიდან ბევრმა წელმა გაიარა, წმინდა მოგონებებით სავსე სევდიანი წლებმა წაიღო. მე ჯერ კიდევ არ გამომიცდია რაა ეჭვიანობა, ამ მაიმუნის სიგიჟის გახსენებისას საოცარი ნაღველი შემომაწვება ხოლმე...

როგორც ჩანს, ცხოველებს ზოგიერთი გრძნობა ადამიანებზე ძლიერად აქვთ განვითარებული. მაგალითად, ვირებისათვის ჩვეული სიჯიუტის, ძაღლების - ერთგულების, კატების - უმადურების მხგავსი...

ალბათ ეჭვიანობაც ამდაგვარია?!

ზურა კოსტავა, VII კლ.

ერის სიამაყე დავით აღმაშენებელი

2008 წლის 8 თებერვალი. 37-ე სკოლის IX[1] კლასის მოსწავლეები დილით ადრე ჟრიამულით შემოვიდნენ სკოლის ეზოში - ბაბუნაშვილი ირენა, პაიკიძა ნათია, ბაჩილავა თორნიკე, ხელაძე ბესო, დვალი გიორგი, მელაძე ბექა, კიკვაძე ვაჟა, იაკოფოვი რატი, გელაშვილი სოფიკო, ლეჟავა ანა, გაბრიჭიძე სალომე, გოგიტიძე ნატო, დევიძე თეონა, ჩაჩავა მერი, უზარაშვილი ნათია, მიქაუტაძე მარიამი, რუხაძე ნინო.

V-VI კლასის მოსწავლეები - ჯინჯიხაძე ანზორი, ყურაშვილი ნოდარი, ბჟალავა თამაზი, მელაძე ზაზა, აბრამაძე გიორგი, ნიკოლაძე ნინო.

ეს დღე განსაკუთრებული იყო, რადგან ქართველთა დიდი მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით გელათში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ამინდიც ხელს უწყობდა მხიარულ გოგო-ბიჭებს.

11 სთ-ზე გაუდგნენ გზას. მოწიწებით შეაბიჯეს გელათის წმინდა მონასტრის მიწაზე, მოილოცეს ტაძრებში, მუხლი მოიყარეს დავით აღმაშენებლის საფლავთან. შემდეგ ღონისძიების ორგანიზატორებმა, ისტორიის მასწავლებელმა მ. ნერგაძემ გელათის მთავარი ტაძრის კედელთან, დ. აღმაშენებლის საფლავის და გელათის აკადემიის გზაბოძალზე დააწყო ბავშვები და დაიწყო ღონისძიება - ისტორიულ-ლიტერატურული კომპოზიცია დევიზით: „ერის სიამაყე დავით აღმაშენებელი“.ბავშვებმა საინტერესოდ აჩინეს დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები, როცა საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა დავითი 16 წლის იყო, მას მძიმე ვითარება სვდა მემკვიდრეობად, მაგრამ ახალგაზრდა მეფე არ შეუშინდა სიძნელეებს. ის ხომ უდიდესი პიროვნების გიორგი ჭყონდიდელის თანადგომით ეჭიდებოდა სიძნელეებს.

პირველ რიგში თურქ-სელჩუკებს შეუტია, ორგულები და მოღალატეები მკაცრად დასაჯა, გაატარა საეკლესიო რეფორმა, თანდათანობით შემოიერთა აღმ. საქართველოს ციხე-ქალაქები, რომლებიც მტერს ქონდა დაპყრობილი, სამხედრო რეფორმის გატარების შედეგად მუდმივი, გაწვრთნილი და ორგანიზებული ჯარი შესძინა ქეყანას.

სკოლის ცხოვრება

თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ყელაზე ძლევამოსილი ბრძოლა მეფემ დიდგორთან გადაიხადა, სადაც 300 000-იან მტრის ლაშქარს მეფემ 55600 მეომარი დაუპირისპირა და მტერს მუსრი გაავლო. ბოლოს მეფემ თბილისი გაანთავისუფლა და აღადგინა საქართველოს ერთიანობა. ამის შემდეგ დავითმა შემოიერთა მეზობელი ქვეყნები და საქართველოს საზღვრები გასწია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე.

მოსწავლეები ყოველივე ამას სხვადასხვა ისტორიკოსის (ქართველი და უცხოელი) ცნობებზე დაყრდნობით უამბობდნენ მსმენელებს.

თემასთან შესატყვისად ბავშვები გულის სალბუნად და ყურის საამებლად ასრულებდნენ საგალობლებს „ალილუია“, „წმინდა ღმერთო“, „მრავალჟამიერ“ და საგმირო სიმღერას „შავლეგო“.

ამავე დროს ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები მიძღვნილი დავით აღმაშენებლისადმი, პოეტების ა. კალანდაძის, ზ. კუხიანიძის, შ. ნიშნიანიძის.

წარმოდგენილი ღონისძიება იყო ძალიან საინტერესო. მაყურებელიც არ აკლდა, ესწრებოდნენ დირექტორის მოადგილე რ. გაჩეჩილაძე, სასწ. ნაწილის გამგე ლ. ვაშაკიძე, მასწავლებლები“ კ. მინდაძე, ფ. ფრუიძე, ნ. დვალიშვილი, ნ. კოხრეიძე, გ. რატიანი, ც. გიგინეიშვილი. მუსიკალური ნომრების შესრულებაში კლასს ეხმარებოდა მუსიკის მასწავლებელი ნ. ქალიაშვილი. ქალაქის საზოგადოების ცნობილი სახეები, მათ შორის ოტია იოსელიანი, რომელიც აღტაცებული დარჩა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ ასეთი ეროვნული სულისკვეთებით უნდა ზრდიდნენ მომავალ თაობებს საქართველოს სკოლებში და არა ისე, როგორც ახლა ცდილობენ დაავიწყონ ჩვენს მომავალ თაობებს ჩვენი სიწმინდეები.

ღონისძიების დეტალები ადგილობრივმა ტელევიზიებმაც გააშუქეს.

ბედნიერი და ამაღლებული იყო ღონისძიების ორგანიზატორი ისტორიის მასწავლებელი მარინა ნერგაძე, მისმა მოსწავლეებმა ამ დღეს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს დიდებული მეფის დავით აღმაშენებლის უკვდავყოფაში.

სკოლის დირექტორიმა მ. გიორგაძემ მადლობა გამოუცხადა ღონისძიების ორგანიზოტორს მ. ნერგაძეს, მუსიკის მასწავლებელს ნ. ქალიაშვილს და მონაწილე ბავშვებს.